ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali-Taoba

# ნიკორამ“ ნუგეში“ იყიდა

გვ. 6



შაბათი – კვირა, 29 – 30 აგვისტო, 2015

1202 (6822)

აფცბ5 №) სტსპბ

# სოსო ცისკარიშვილი: ქართული ოცნება“ დაიქანცა, ნაცმოძრაობა“ კი კვლავ გაუგებრობაშია“





„ქართულ ოცნებას“ არ ეყო არც ნება, არც სურვილი იმისა, რომ აღმდგარიყო ქვეყანაში ის სამართლიანობა, რომლის იმედი ხალხს ჰქონდა. თავად მათაც უნდა აიღონ პასუხისმგებლობა იმაზე, რომ დღემდე უამრავი ადამიანი უსამართლობის წინაშეა დარჩენილი.

გვ.4



## აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით ხდება“

გვ.3



თამარ ჩხეიძე:
„რესპუბლიკელების გამინისტრება დასავლეთის მოტყუებაა“

## რამაზ საყვარელიძე: მე და საზოგადოება“ აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს“

გვ.2





სკოლაში მიღებული ცოდნა სწორედ იმისთვის არის საჭირო, რომ მოსწავლეს გააგებინო, რა მნიშვნელობა აქვს ეროვნულობის, თავისთავადობის შენარჩუნებას ადამიანისთვის

## ქართული ქვევრი ჟენევაში დაიდებს ბინას

გვ.5



ოფიციალური დელეგაციების გარდა, ქვევრის ნახვა ფართო საზოგადოებასაც შეეძლება. გაერო-ს ჟენევის ოფისს კი ყოველწლიურად 100.000-ზე მეტი ვიზიტორი სტუმრობს

## კომერციული ფართის გაქირავება გაჭირდა



გვ.6

ISSN 1987-9385

## საქართველოში რუსული კაპიტალი იზრდება

გვ.6



# რამაზ საყვარელიძე: მე და საზოგადოება" აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს"



ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობა" უკვე არაერთხელ წერდა იმის შესახებ, რომ წელს საჯარო სკოლებში ახალი საგნის, „მე და საზოგადოების", შეტანა იგეგმება.**

ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ, საკრებულოს დეპუტატმა სოსო მანჯავიძემ და დემოგრაფიული განვითარების ფონდის ხელმძღვანელმა ზვიად ტომარაძემ ცოტა ხნის წინ პრემიერ-მინისტრს მიმართვა გაუგზავნეს. ისინი ღარიბაშვილს მოუწოდებენ, არ დაუშვას სკოლებში აღნიშნული საგნის სწავლება.

მათ მიაჩნიათ, რომ საგანი მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის ნიღბით არის შემოსილი და კულტურულ, ეთნიკურ და რელიგიურ ტრადიციებს უპირისპირდება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძეს, რომელიც გაკვირვებას ვერ მალავს აღნიშნული პროტესტის გამო.

— მე ვიცი, რა განზრახვა ამოძრავებს განათლების სამინისტროს და პროტესტიც ამიტომ მაკვირვებს. აქ საუბარია მოსწავლეებისთვის ცოდნის იმ ნაწილის მიწოდებაზე, რომელიც ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებას ეხება, — აცხადებს ფსიქოლოგი.

მისი თქმით, ამ საგანში თავმოყრილი იქნება ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, კულტუროლოგიური ინფორმაციები მოსწავლეებისთვის მისაწოდებლად.

რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ სკოლაში რელიგიის საკითხები უნდა ისწავლებოდეს.

— ერთია ცოდნა იმის შესახებ, რას ნიშნავს ადამიანის რელიგიურობა და მეორეა თვითონ რელიგია. ჩვენ თუ გვინდა, რომ მართლმადიდებლური რელიგიის მიმდევრები იყვნენ საქართველოში ისე, რომ მათ არ იცოდნენ, სხვა რელიგია არსებობს თუ არა და რამე კანონზომიერებები აქვს თუ არა რელიგიასთან ადამიანის ურთიერთობას, კი ბატონო, მაგრამ ეს ფანატიზმის აღზრდის პირობაა! — მიიჩნევს საყვარელიძე.

— ამბობენ, რომ არ იქნა გათვალისწინებული საპატრიარქოს პოზიცია, რომ ეკლესია ეწინააღმდეგება ამ საგნის სწავლებას.

— საპატრიარქო თუ ეწინააღმდეგება, ის შეცდომას უშვებს! მე ფსიქოლოგი ვარ და ვკითხულობ ფსიქოთერაპიის ისტორიას, ფსიქოლოგიის ისტორიას და ვიწყებ ამ ისტორიას შამანური კულტურიდან, შემდეგ მოდის რელიგიური კულტურები, აღმოსავლური, ჩინური კულტურები.

ფსიქოლოგი ამბობს, რომ ამ კულტურების ხსენებაზე სტუდენტებს უკითხავთ, არის ეს მართლმადიდებლური სწავლება თუ არა.

— თუ იმ სტუდენტების დონეზე დავალთ, მაშინ, კი ბატონო, საერთოდ ნუ მივაწვდით ნურაფერს სტუდენტს და მივბაძოთ ისლამურ სახელმწიფოს! სწორედ იმიტომ, რომ მისთვის სხვა კულტურა მიუღებელია, ისლამურმა სახელმწიფომ დაიწყო კულტურის ძეგლების განადგურება, თუკი მათ სხვა რელიგიური დატვირთვა ჰქონდათ. აი, აქამდე მივდივართ მაშინ, — ამბობს რამაზ საყვარელიძე.

„მე და საზოგადოების" სწავლება მე-3-მე-4 კლასებიდან იგეგმება. კრიტიკოსები ფიქრობენ, რომ ეს ძალიან ადრეა.

რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ ყველა საგანს გააჩნია თავისი რამდენიმე დონე. მოახერხებს თუ არა განათლების სამინისტრო ამ დონეების გათვალისწინებას, ეგ სხვა საკითხია.

— არსებობს ბიბლიის საბავშვო ვარიანტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს არის ბიბლიის საბოლოო სახე. უზარმაზარი ფილოსოფია დევს ბიბლიაში და უკვე მოგვიანებით ეცნობა ადამიანი ამ ფილოსოფიურ მხარეს. ასეა ყველა საგანი, — მიაჩნია ფსიქოლოგს.

მისი თქმით, არსებობს ფიზიკის ელემენტარული ცოდნა, რომელიც პატარა ბავშვმაც შეიძლება იცოდეს და არსებობს ფიზიკის ისეთი კანონები, რომელთაც ბავშვს ვერ მიაწოდებ.

— აქაც ანალოგიურია. თუ ადრე შეგაქვს ეს საგანი, იქ უნდა იყოს მარტივი ფორმით მარტივი კანონები აღწერილი, ოღონდ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ამ საგნის საბოლოო სახე იქნება და მოგვიანებით არ იქნება საჭირო უფრო ღრმა ინფორმაციის მიწოდება, — განმარტავს რამაზ საყვარელიძე.

***— მიიჩნევთ, რომ არაფერი საგანგაშო სკოლებში ამ საგნის შეტანით არ ხდება?***

— რასაკვირველია, არა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, როგორი სახელმწიფო ვართ! ეს საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს. ანალოგიურად, ფართო განათლების ფონზე მიდის საერო სწავლება ევროპის ქვეყნებში, მაგრამ ამით ევროპის ქვეყნებს უარი არ უთქვამთ ქრისტიანობაზე და თავიანთი ცხოვრების წესითაც დროშის ქვეშ, საზოგადოების დიდ ნაწილში გააჩინა შიში დემოკრატიისა და ამერიკული გავლენის მიმართ. საზოგადოების ეს ნაწილი ფიქრობს, რომ ასეთი დემოკრატია და ამერიკა დაარტყამენ რელიგიურ ღირებულებებს.

***— რამდენად მართებულია ეს შიში?***

— სწორედ ამის გასარკვევად გვჭირდება ანალიზი. ძლიერი ამერიკული გავლენის ქვეშ მყოფი იაპონია დღეს ერთ-ერთი ყველაზე მკაფიოდ



და რიტუალებითაც ერთგული ქრისტიანები არიან.

***რა არის ის, რასაც ქართველი საზოგადოების ნაწილი ავლენს — შიში თუ კომპლექსი?***

— მათ მიერ გამოხატულ შიშს მარტო კომპლექსს არ დავაბრალებდი. ეს ჩვენი ბედ-იღბლის პრობლემაც არის და არის იმის პრობლემა, რომ გაუანალიზებელია მთელი რიგი საკითხები, — ფიქრობს რამაზ საყვარელიძე, — ჩვენთან ხომ ანალიტიკური საქმიანობა თითქმის არ მიმდინარეობს. ეს საკითხი, რა ადგილი უნდა ეკავოს რელიგიას ქართულ ცხოვრებაში, სამსჯელოა.

მისი თქმით, სააკაშვილის მიერ რელიგიის მიმართ უდიერობამდე მისულმა უტაქტო დამოკიდებულებამ და იმან, რომ ეს პოლიტიკა მიდიოდა ამერიკული დროშისა და დემოკრატიის

გამოკვეთილი ქვეყანაა თავის ეროვნულობით. წარწერას ვერ ნახავთ იაპონიაში არაიაპონურს!

ფსიქოლოგის აზრით, სკოლის ბრალი არაა, თუ ჩვენ თვითონ უარს ვამბობთ ხოლმე თვითმყოფადობაზე.

— სკოლაში მიღებული ცოდნა სწორედ იმისთვის არის საჭირო, რომ მოსწავლეს გააგებინო, რა მნიშვნელობა აქვს ეროვნულობის, თავისთავადობის შენარჩუნებას ადამიანისთვის, — ამბობს რამაზ საყვარელიძე.

მისი აზრით, დღეს ჩვენ კულტურული ემიგრაცია გვჭირს. კულტურული ემიგრაციაა, როცა ადამიანი თავის კულტურაზე ამბობს უარს და სხვისი კულტურის მატარებლად აცხადებს თავს.

რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ თანამედროვე მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისთვის მხოლოდ ძლიერი ქრისტიანული ეკლესია არ არის საკმარისი.

***— ამით რისი თქმა გსურთ?***

— იმის, რომ დღევანდელი ღვთისმსახურები არ აკეთებენ და არც უნდა აკეთებდნენ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიზს. ისინი აქედან გამომდინარე არ იძლევიან დასკვნებს. დასკვნებს იძლევიან რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე. ამ დროს კი ბავშვი ცხოვრობს თანამედროვე ცივილიზაციაში, ინტერნეტშია თავით გარჭობილი! შენ უნდა მოახერხო, რომ ამ ინტერნეტიდან სკოლაში წამოსულ ბავშვს ისე მიაწოდო ის ნორმა, რომ ეს წინააღმდეგობაში არც ინტერნეტთან მოვიდეს და არც — შენს კულტურასთან.

ფსიქოლოგის აზრით, საგანი „მე და საზოგადოება" სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

## სოზარ სუბარი სახელფასო დანამატს ყოველთვე იღებდა



სოზარ სუბარმა, როგორც საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა, 2014 წელს სახელფასო დანამატი შვიდჯერ აიღო.

მას აღნიშნული თანამდებობა გასულ წელს სწორედ შვიდი თვის განმავლობაში ეკავა. 2014 წლის 18 ივლისიდან კი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად დაინიშნა.

დამატებითი ანაზღაურების გარეშე სუბარმა საკუთარი თავი არც საკადრო ცვლილების განხორციელების თვეს დატოვა: ივლისში მან სახელფასო დანამატის სახით 1649.57 ლარი აიღო. რაც შეეხება წინა 6 თვეს, მინისტრი ყოველთვიურად, ხელფასის გარდა 1.710 ლარს იღებდა. ჯამში, სოზარ სუბარმა 2014 წელს დამატებითი ანაზღაურების სახით 7 თვის განმავლობაში 17.909.57 ლარი აიღო.

დროის ამ მონაკვეთში მინისტრი სახელფასო დანამატებსა და პრემიებს საკუთარი უწყების ცენტრალური აპარატის თანამშრომლებზეც გასცემდა. ამ მიზნით სამინისტროს ბიუჯეტიდან იანვარიდან ივლისის ჩათვლით 308.784.55 ლარი დაიხარჯა.

ნიუსპრესი

## დავით სერგეენკო: ნატოს ცენტრის გახსნა მეზობლებისთვის საფრთხეების გაზრდას არ უკავშირდება"

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, საქართველოში ნატოს წვრთნისა და შეფასების ცენტრის გახსნა მეზობელი ქვეყნებისთვის საფრთხეების გაზრდას არ უკავშირდება.

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

— საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ძალიან ნათლად და ცალსახად განაცხადა, რომ ნატოს ცენტრის გახსნა არცერთი მეზობელი ქვეყნისთვის საფრთხეების გაზრდას არანაირად არ უკავშირდება. შესაბამისად, მეც ვიზიარებ ამ პოზიციას, — განაცხადა სერგეენკომ.

აღნიშნულ ფაქტს რუსეთის საგარეო უწყება გამოეხმაურა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქარ-



თველოში ნატოს წვრთნისა და შეფასების ცენტრის გახსნას ალიანსის პროვოკაციული პოლიტიკის გაგრძელებად განიხილავს.

მისი თქმით, რუსეთი საკუთარი მოკავშირეების „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის" უსაფრთხოების საიმედო დაცვას კვლავაც განაგრძობს და ნატო-საქართველოს თანამშრომლობის განვითარებაში სიახლეებს სათანადოდ გაითვალისწინებს.

ნიუსპრესი

## დავით ბაქრაძემ 33.000 დოლარის ღირებულების ბინათმშენებლობის ხელშეკრულება გააფორმა

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა დავით ბაქრაძემ 2014 წელს 33.000 აშშ დოლარის ღირებულების ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა. ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ბაქრაძეს აღნიშნული ხელშეკრულება გასული წლის პირველ აპრილს ანუ საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის დროს აქვს გაფორმებული. რვათვიანი ხელშეკრულება თბილისში, ალექსიძის 12-ში ბინის მშენებლობას ითვალისწინებდა.

შედეგად, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მინისტრის პირად საკუთრებაში ერთით მეტი უძრავი ქონება ირიცხება.



ნიუსპრესი

ახალი თაობა

ლფვაეყტ,კტ,ბ5 ყბყჯ ,ფრეჰფტ7 პეჰფ, ,ტჰბტ7 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ვსფდფჰბ ჰტლფმნჯჰბ 2 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ჰტლფმნჯჰბ 2 კფკბ ფცკფყბიდბკბ
ჰტლფმნჯჰბც ვჯფლუბკტ 2 იჯჰტყფ ვფჰცფუბიდბკბ

უფპტსბ
უფჯჯლც
!((№ ოკბც
№ ბდკბცბლფყ

რჯყცჯკნფყტ,ბ
ჯსფჰ ყბყბფიდბკბ7 ლფდბს .ბბფყბ
ცფბყფყცჯ ცფვცფეჰბ 2 რკფჰფ ,ფკფდფტ

ცფჰტრკფვჯ ცფვცფეჰბ 2 -(-)-
უფდჰტკტ,ბც ცფვცფეჰბ 2 ვტჰფ, კტდტჰფიდბკბ
ლბჰტმნჯჰბ 2 პეჰფ, ,ტჰბტ

ლფრფ,ფლჯჯტფ 2 ბყუფ ლდფკბიდბკბ7 ყჯყფ რფყლტკფრნ7 ვბფფ მჯმფიდბკბ

ვბცფვფჰსბ5 მ8 ს,ბკბცბ7 X,I ჩ 8 1)7 ვტ-№ ცფჰსეკბ8
ნტკტაჯყბაფმცბ 2(-)-(!
დტ,-უდტჰლბ www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით ხდება“

მარიამ მჭედლიშვილი

**27 აგვისტოს საქართველოში გაიხსნა საქართველო-ნატოს ერთობლივი სასწავლო ცენტრი. ამ მოვლენამ შეიძლება დააჩქაროს საქართველოში ნატოში გაწევრიანება. ამისთვის ჯერ მაპის მიღებაა საჭირო, რისი გარანტიაც ქვეყანას ჯერჯერობით არ გააჩნია.**





## თამარ ჩხეიძე: „რესპუბლიკელების გამინისტრება დასავლეთის მოტყუებაა“

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ლიდერი თამარ ჩხეიძე ფიქრობს, რომ თუ მაპი არ მოგვცეს, ქვეყანა ნამდვილად არ დაიღუპება, მაგრამ ეს შეიძლება გახდეს წამახალისებელი ფაქტორი რუსეთისთვის.

— რუსეთი გადადგამს ახალ აგრესიულ ნაბიჯებს. ნახევარზომები, სამწუხაროდ, დამახასიათებელია დასავლეთისთვის. შიშს რუსეთის რეაქციის მიმართ ძალიან უარყოფითი შედეგები მოაქვს. ასე მოხდა 2008 წელსაც, — ამბობს პოლიტიკოსი.

***— საქართველოს შემთხვევაში რით შეიძლება გამოიხატოს რუსეთის ახალი ქმედებები?***

—— ალბათ, გაგრძელდება მცოცავი ოკუპაცია. რუსეთი ემუქრება ნავთობსადენებს, ცენტრალურ გზატკეცილს. არ არის გამორიცხული ამა თუ იმ რეგიონში სიტუაციის დაძაბვა.

თამარ ჩხეიძე ამბობს, რომ ამ ვითარებაში უადგილო და მიუღებელია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა ქვეშევრდომული განცხადებები.

***— რა გაქვთ მხედველობაში?***

— თუნდაც პრემიერ-მინისტრის ხაზგასმული განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველო არ უერთდება სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ. ეს ჰგავს რუსეთის შეკვეთას. მართალია, თავდაცვის მინისტრმა საპირისპირო განცხადებები აკეთა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, საქართველოს ხელისუფლებამ მაამებლობა გამოიჩინა რუსეთისადმი.

ამ სიტუაციაში საუბარი იმაზე, რომ საქართველო ნატოსკენ მიისწრაფვის, ნაკლებად ეფექტურია. საერთოდ, რუსეთის მიმართ გამოცხადებული სანქციები არასაკმარისია. დასავლეთი ეტაპობრივად ზრდის ამ სანქციებს, მაგრამ შეეძლო, თავიდანვე მეტი სიმკაცრე გამოეჩინა. მაშინ რუსეთი ამდენს ვერ გაბედავდა.

***— თუმცა, ამ სანქციებმა რუსეთის ეკონომიკა დაასუსტა.***

— დიახ. დასუსტებული რუსეთი ვეღარ იქნება ძალიან აგრესიული. სამწუხარო ისაა, რომ პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს. დროზე რომ გატარებულიყო უფრო მკაცრი სანქციები, ბევრი ცუდი მოვლენა იქნებოდა თავიდან აცილებული.

ცოტა ხნის წინ რუსებმა ოჩამჩირიდან ენგურამდე სარკინიგზო ხაზის აღდგენა დაიწყეს. ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ ეს რუსეთს ტვირთების დანარჩენ საქართველოზე გასატარებლად დასჭირდება, ანუ სარკინიგზო მიმოსვლა სოხუმსა და თბილისს შორის აღდგება.

თამარ ჩხეიძე იხსენებს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების განცხადებებს ამ რკინიგზის აღდგენის მიზანშეწონილობის შესახებ.

— ჯერ ხელისუფლებაში არ იყვნენ მოსულები, რომ ამაზე ლაპარაკობდნენ. ზურაბ აბაშიძე უარყოფდა, რომ ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, მაგრამ გრიგორი კარასინი ამას აღიარებდა. რკინიგზის ამოქმედების სურვილი არაერთხელ გამოხატა თავად ბიძინა ივანიშვილმა. ეს აჩენს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ყველაფერი საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით ხდება, — ამბობს პოლიტიკოსი.

მისი აზრით, რკინიგზაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გადაიდგმება ნაბიჯები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისკენ და თუ მოხდება დეოკუპაცია.

***— ეს ყველაფერი რუსეთს როგორ უნდა აგუხსნათ, თუ მასთან დიალოგი არ გვექნა?***

— ყოველთვის ყველასთან დიალოგის მომხრე ვარ. ზურაბ აბაშიძის შეხვედრები კარასინთან არაფრის მომტანია. შესაძლებელი იქნებოდა დიალოგის სხვა ფორმის გამოძებნა იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე იქნებოდა საკუთარი ქვეყნის ინტერესების გამომხატველი. ახლა ეს არ ჩანს, — ფიქრობს თამარ ჩხეიძე.

მისი აზრით, რუსეთთან საქართველოს ხელისუფლება დაიკავებს არა სახელმწიფოებრივ, არამედ კოლაბორაციონისტულ პოზიციას.

— ჩვენი გზავნილი უნდა იყოს მკაფიო — წამოვალთ სხვადასხვა პირობაზე, მათ შორის, რკინიგზის აღდგენაზე მაშინ, როცა მოხდება დეოკუპაცია. ტერიტორიული მთლიანობა ქვეყნის მთავარი პრობლემაა და ყველაფერი ამას უნდა უკავშირდებოდეს, — ამბობს პოლიტიკოსი.

***— ეს ის საკითხებია, რომლებითაც საგარეო სამინისტრო უნდა იყოს დაკავებული. იგეგმება საგარეო მინისტრის შეცვლა.***

— ამის შესახებ ინფორმაცია არ გამაჩნია. არა მგონია, ამ ცვლილებამ პოზიტივი მოუტანოს ქვეყანას. მარტო ერთი მინისტრი არაფერს წყვეტს.

***— სხვა მინისტრების შეცვლაც უნდათ.***

— აქამდე რესპუბლიკელების გამინისტრების მოწმე გავხდით. მათ აქვთ პროდასავლელების იმიჯი. სინამდვილეში, რესპუბლიკური პარტიის მოქმედებები ყოველთვის კითხვებს აჩენდა. მისი წევრების თეორიები თუ განცხადებები ძირეულ საკითხებზე ყოველთვის რუსეთისთვის სასარგებლო იყო. ამიტომ, რესპუბლიკელების დანიშვნა მინისტრებად უფრო დასავლეთის მოტყუებაა, — თვლის თამარ ჩხეიძე.

მისი აზრით, ცვლილებები დამოკიდებულია შიდასახელისუფლებო ბრძოლასთან, გავლენების გადანაწილებასთან.

— მინისტრობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის რა პოზიციები აქვს ივანიშვილის კარზე, — ასკვნის თამარ ჩხეიძე.

## „რეფორმატორების“ თავმჯდომარე მთავარ პროკურატურას ზეწოლაში ადანაშაულებს

გიორგი ჟამუტაშვილი მთავარ პროკურატურას ზეწოლაში ადანაშაულებს. პოლიტიკური გაერთიანება „რეფორმატორების“ თავმჯდომარე გიორგი ჟამუტაშვილი საქართველოს მთავარ პროკურატურას ზეწოლაში ადანაშაულებს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „რეფორმატორებიდან“ აცნობეს.

„რეფორმატორების“ თავმჯდომარე აცხადებს, რომ სამართლებრივი დევნა მის წინააღმდეგ მას შემდეგ დაიწყო, რაც პარტიის სახელით ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მხარდამჭერი განცხადება გააკეთა და ტელეკომპანიის ქონების დაყადაღების ფაქტი სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი სიტყვის შეზღუდვად შეაფასა.

„გიორგი ჟამუტაშვილი უკვე რამდენჯერმე დაიბარეს საგამოძიებო უწყებაში. რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარე დაკითხვის დროს, მას პოლიტიკური შინაარსის შეკითხვებს უსვამდნენ.

გიორგი ჟამუტაშვილი დარწმუნებულია, რომ პროკურატურის მხრიდან განხორციელებული ზეწოლის უკან პარტიის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი ღლონტი დგას, რომელმაც არაერთხელ გააკეთა განცხადება საგამოძიებო უწყებაში არსებული კავშირებისა და ამ ორგანოს საკუთარი მიზნებით გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. პარტიის ყოფილმა თავმჯდომარემ, ირაკლი ღლონტმა ასევე არაერთხელ გააჟღერა, რომ სურვილის და საჭიროების შემთხვევაში, მას მსგავსი ზეწოლის განხორციელებაში პროკურატურის მაღალჩინოსანი — ვინმე შოთა კვაჭანტირაძე დაეხმარებოდა.

პოლიტიკური გაერთიანება „რეფორმატორების“ მოქმედი თავმჯდომარე რეაგირებისა და დახმარებისთვის საქართველოში მოქმედ დიპლომატიურ კორპუსს მიმართავს.

**ირაკლი ღლონტი ირწმუნება, რომ პოლიტიკური პარტია „რეფორმატორების“ თავმჯდომარე თავად არის**

ირაკლი ღლონტმა კი განაცხადა:

— გვსურს, გამოვეხმაუროთ პოლიტიკური პარტია „რეფორმატორების“ წინააღმდეგ გამართულ კამპანიას და საზოგადოება საქმის კურსში ჩავაყენოთ.

პარტიაში ბოლო 1 წლის მანძილზე ცვლილება არ განხორციელებულა, შესაბამისად, „რეფორმატორების“ თავმჯდომარე არის ირაკლი ღლონტი.

ირაკლი ღლონტის გადაყენებასთან დაკავშირებით მოქალაქეების — გიორგი ჟამუტაშვილისა და დავით მიროტაძის განცხადება სხვა პოლიტიკური ძალის მიერ ნაკარნახევი დირექტივაა და სინამდვილეს არ შეესაბამება. აღნიშნული მოქალაქეების მიერ ადგილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, მათ უკანონოდ, ანგარების მიზნით მიისაკუთრეს პარტიის ბეჭდები და ნოტარიუსის თანამონაწილეობით შექმნეს ყალბი დოკუმენტი, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 363-ე მუხლით კვალიფიცირდება, როგორც დანაშაული.

დანაშაულებრივი ნიშნებისა და სხვა დარღვევების გამო, დავით მიროტაძისა და გიორგი ჟამუტაშვილის მიერ არაკანონიერი გზით შედგენილი ყალბი დოკუმენტი მარეგისტრირებელმა ორგანომ — საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ — არ დაარეგისტრირა და ვიდრე ჩვენ პროკურატურას მივმართავდით, იქამდე თავად გადააგზავნა მასალები მთავარ პროკურატურაში.

მიგვაჩნია, რომ გიორგი ჟამუტაშვილი და დავით მიროტაძე ჩადენილი დანაშაულის გადაფარვას სხვადასხვა საშუალებებით ცდილობენ, მათ შორის სპეკულირებენ „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული განცხადებებით და ახორციელებენ პარტიის იმიჯის მიზანმიმართულად შელახვას და დისკრედიტაციას.

გვსურს, გაცნობოთ, რომ გიორგი ჟამუტაშვილი პარტია „რეფორმატორების“ პოლიტიკური საბჭოს



2015 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით გარიცხულ იქნა პარტიის წევრობიდან, შესაბამისად, იგი არა თუ პარტიის თავმჯდომარე, არამედ პარტიის წევრიც კი არ არის.

გიორგი ჟამუტაშვილისა და დავით მიროტაძის მხრიდან ადგილი აქვს სიყალბეს და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას, რის გამოც მოვუწოდებთ საქართველოს მთავარ პროკურატურას, დაუყონებლივ გააკეთოს სპეციალური განცხადება, თუ რა მუხლით მიმდინარეობს გამოძიება.

ასევე მოვითხოვთ, რომ საჯარო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გაავრცელოს მიმართვა, რის გამო ეთქვა უარი გიორგი ჟამუტაშვილსა და დავით მიროტაძეს ცვლილებების განხორციელების თაობაზე, ვინაიდან მათი მხრიდან ადგილი აქვს სამართლებრივი დავისათვის პოლიტიკური სარჩულის შექმნას, — ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

## პატრიარქი: საქართველო ბედნიერია, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მისი მფარველია“



უწმინდესმა ტაძარში შეკრებილთ ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული მიულოცა და ისურვა, რომ ღვთისმშობელმა შეისმინოს ჩვენი ლოცვები.

— ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი დედა ცისა და დედამიწის მფარველია, მაგრამ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია. იგი საქართველოს განსაკუთრებული მფარველია. მხოლოდ ის ფაქტი რომ ყოფილიყო, ეს ხალხისა იქნებოდა საქართველოს ბედნიერებისა და ბრწყინებისთვის. საქართველო ბედნიერია, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მისი მფარველია. ბედნიერია, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა გადააფარა კალთა და იცავს ხილული თუ უხილავი მტრებისაგან“, — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, მოციქულებს წესად ჰქონდათ, რომ როდესაც სუფრასთან დასხდებოდნენ, ორ ადგილს ტოვებდნენ, ერთი მაცხოვრისთვის იყო განკუთვნილი, მეორე — ღვთისმშობლისთვის. მოციქულები დარწმუნებული იყვნენ, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და მაცხოვარი მათთან ერთად უხილავად იყვნენ.

პატრიარქმა შესთხოვა უფალს, მოიღოს მადლი და წყალობა ჩვენზე და უფლის კურთხევა და მფარველობა ყოფილიყო საქართველოზე. ქადაგებისას პატრიარქმა ასევე გაიხსენა „ქართლის ცხოვრება“ და აღნიშნა, რომ არაერთი შემთხვევა ყოფილა აღწერილი „ქართლის ცხოვრებაში“, როდესაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დედამ გადაარჩინა მტრებისგან საქართველო.

უწმინდესის თქმით, ჩვენ ხშირად მივმართავთ ლოცვით მფარველობისთვის ღვთისმშობელს „მოწყალებისა კარგი განგვიღე...“

უწმინდესმა მიმართა მრევლს, მასთან ერთად ეთქვათ ეს ლოცვა კიდევ ერთხელ. პატრიარქთან ერთად მრევლმა სამჯერ ამ ლოცვით მიმართა ღვთისმშობელს. პატრიარქმა საუბრისას დასძინა, რომ დღეს სიონის საკათედრო ტაძარში 19:30 საათზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისი შესრულდება ავადმყოფთა და უძლურთათვის, რომელსაც თავად პატრიარქი შეასრულებს.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოსო ცისკარიშვილი: ქართული ოცნება“ დაიქანცა, ნაცმოძრაობა“ კი კვლავ გაუგებრობაშია“



**მორიგი პოლიტიკური სეზონის დაწყებიინ საშინაო და საგარეო პოლიტიკ აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.**



ახალი პოლიტიკური სეზონის წინ, 'ქართული ოცნების~ 'სპორტული ფორმა~ სეზონის ბოლოს დაქანცულ სპორტსმენთა მდგომარეობას წააგავს

***— ბატონო სოსო, ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგისა და პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის მონაწილეობით კრწანისის სამხედრო ბაზაზე ნატოს საწვრთნელი ცენტრი გაიხსნა. თქვენ როგორ შეაფასებდით მომხდარს და მასზე რუსეთის რეაქციას?***

— საქართველოში დიდი ხნის ოცნება აღსრულდა. უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ეს არ არის ყველას ოცნება. ამიტომ ჯერ ქვეყნის შიგნით გვაქვს გასარკვევი, ვისია ეს ოცნება და ვინ ცდილობს ამ ოცნების მიჭირხვნას.

თავისთავად, რუსული დათვის მოთვინიერება უკიდურესად ძნელი და გრძელი პროცესია. ალბათ, არც გასაკვირი, რადგან არც 21-ე საუკუნეშია პირადი კეთილდღეობა რიგითი რუსისთვის პრიორიტეტი. მას სისხლში აქვს გამჯდარი სხვისი დაპყრობის მანია, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად. თუმცა, რუსული დათვის არსენალში კვლავ ვხედავთ სიცრუით გაჟღენთილ საინფორმაციო სივრცეს, მაგრამ, საბედნიეროდ, მოსკოვისა და კრემლის აღარავის სჯერა. შესაბამისად, რუსული პუტინიადის პერსპექტივა მტკივნეული იქნება არა მხოლოდ რუსეთისთვის. ცნობილია, რომ დაჭრილი დათვი უფრო საშიშია, მაგრამ, იმასაც ვხედავთ, რომ ცივილიზებული დასავლეთი ნაბიჯ-ნაბიჯ ავიწროებს ყულფს დათვის ყელზე.

კუბა აღარ არის რუსეთის ექსკლუზიური სივრცე, ირანული ნავთობი ანაცვლებს რუსულ ნავთობს, დოლარმა ბეჭებზე გააკრა რუსული რუბლი, საერთაშორისო პოლიტიკურ სივრცეში რუსეთი დაფიქსირდა, როგორც ყველაზე არასანდო სუბიექტი. ამ ვითარებაში არ გვაქვს საფუძველი, გულხელდაკრეფილებმა ვუყუროთ მოვლენების განვითარებას, რადგან სახეზე კვლავ გვაქვს მავთულხლართები საქართველოს ტერიტორიაზე, არაადეკვატურწარწერებიანი ბანერები.

ჩემთვის ყველაზე ავისმომასწავებელია სცენარი, რომელიც ერთხელ უკვე გავიარეთ საკუთარი სისხლის ფასად. რუსეთის სარკინიგზო ჯარები აფხაზეთის ტერიტორიაზე მუშაობენ ლიანდაგების აღდგენაზე, მსგავსად იმისა, რაც იყო 2008 წლის აგვისტომდე. ისიც ცუდად მენიშნება, რომ ამ ლიანდაგების აღდგენის შემდეგ პუტინს შეეძლება, კვლავ წავიდეს ოლიმპიადაზე, ამჟამად ბრაზილიაში და იქიდან გასცეს რამე არაკაცური ბრძანება რუსეთის ჯარის ქმედების დასაწყებად საქართველოს წინააღმდეგ. ეს ყველაზე შავი სცენარია, რომელიც შეიძლება წარმოიდგინოთ, მაგრამ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გამოცდილება არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ უკვე მიიღო. ეს იმას ნიშნავს, რომ ისე გულხელდაკრეფილი აღარავინ იქნება, როგორც ეს იყო 2008 წელს.

***— ცხელი ზაფხული დასრულდა. ცოტაც და ახალი პოლიტიკური სეზონიც გაიხსნება. ახალ პოლიტიკურ სეზონს როგორი პოლიტიკური შედეგებითა და როგორი „სპორტული ფორმით“ ხვდება ხელისუფლება, ხელისუფლების ყველაზე აქტიური, ორგანიზებული და, როგორც ჩანს, ყველაზე მოტივირებული ოპონენტი — „ნაცმოძრაობა“, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია?***

— ცხელი ზაფხულის შემდეგ შემოდგომის სიცხე აღიქმება უფრო პოლიტიკურ სივრცეში. პოლიტიკური ფორმა ცვალებადი ბუნებისაა. როგორც წესი, ის დამოკიდებულია მთლიანად ქვეყნის მოსახლეობაში არსებულ პოლიტიკურ ტემპერატურაზე. თუ ცალ-ცალკე განვიხილავთ პოლიტიკურ სუბიექტებს, შემიძლია ვთქვა, რომ ახალი პოლიტიკური სეზონის წინ „ქართული ოცნების“ „სპორტული ფორმა“ სეზონის ბოლოს დაქანცულ სპორტსმენთა მდგომარეობას წააგავს და იგი არდადეგების რეჟიმზე ოცნებობს.

მისი ძირითადი ოპოზიციური სუბიექტი, „ნაცმოძრაობა“, კვლავ გაუგებრობაშია, რადგან დღემდე ვერ გაითავისა ცივილიზებული პოლიტიკური ოპონირების წესები და კვლავ ვნებენ საკუთარ თავსაც და ქვეყნის პერსპექტივასაც. მათ დასახვეწი ბევრი აქვთ და, რაც უფრო ხშირი იქნება ამ ორი პოლიტიკური ძალის მიერ ერთმანეთის ლანძღვა-გინება, მით უფრო დაკნინდება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური პერსპექტივის კოეფიციენტი. ამიტომ ეს ორი ძალა არ წარმოადგენს მწვავე ინტერესს ქართველი საზოგადოებისთვის, თუ ისინი დარჩებიან იმავე ველში, რომლითაც, რბილად რომ ვთქვათ, თავი მოაბეზრეს მოსახლეობას.

რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციას, ამ ფორმატში ასოცირდებიან „თავისუფალი დემოკრატები“. მათაც ღრმად აქვთ ჩასახედი საკუთარ გულში. მათ, წარმატების სურვილის შემთხვევაში, უნდა შეძლონ, იყვნენ განსხვავებულნი საპარლამენტო უმრავლესობისგანაც და უმცირესობისგანაც.

არასაპარლამენტო პოლიტიკური სივრცე დღემდე არნახული კონსოლიდაციით გამოირჩევა. მათი ერთიანობა საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის სურვილით უფრო წინმსწრებია მოვლენების, ვიდრე ეს ხდებოდა 6-7 წლის წინ, როდესაც სურვილი იყო, მაგრამ იმდროინდელ ოპოზიციურ სპექტრში ერთიანობის ფორმატი ვერ შენარჩუნდა.

არასაპარლამენტო ოპოზიციაში მყოფი ძალების სათითაოდ შეფასება შორს წაგვიყვანდა. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ პარტიები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ქალბატონები, უფრო აქტიურნი აღმოჩნდნენ და ამიტომ აღარავის უკვირს, რომ ყველაზე პოპულარულ პარტიათა ხუთეულში იმკვიდრებენ ადგილს. მხედველობაში მაქვს ნინო ბურჯანაძისა და ირმა ინაშვილის პარტიები. ცხადია, ეს საკუთარ პოლიტიკურ ხედვებში მათ ერთგვარობას სულაც არ ნიშნავს.

ჩვენ უნდა ვიყოთ მომთხოვნი იმ რეალობის მიმართ, რომელსაც საქართველოში რეგისტრირებული 230-მდე პოლიტიკური პარტია ჰქვია. სხვა თუ არაფერი, სირცხვილია. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ თურქეთში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას სულ 4 კანდიდატი იღებდა, ხოლო ჩვენთან 44 ადამიანს ჰქონდა პრეზიდენტობის პრეტენზია. ამჟამად ფაქტებზე პოლიტიკური ხიბლი ჩვენი ქვეყნისა არც ქვეყნის შიგნიდან და არც ქვეყნის გარედან ადეკვატურ რეაქციას არ იწვევს.

ვეცადოთ, ვიყოთ თვითკრიტიკულნი. სწორედ თვითკრიტიკის არარსებობა აკნინებს როგორც დღევანდელ ხელისუფლებას, ასევე მის წინამორბედ ხელისუფლებას. თვითკრიტიკის გარეშე არც ერთი პოლიტიკური სუბიექტი არ იქნება სანდო და დამაჯერებელი ამომრჩევლისთვის.

***— თქვენი კოლეგისა და ფილოსოფოსის ზაზა შათირიშვილის დაკვირვებით, ქართულ რეალობაში „ძალიან პლურალისტური ვითარებაა“, მაგრამ ქართული პოლიტიკური სივრცე „გადღაბნილობით“ ხასიათდება. მეტიც, ამ ველზე დომინანტი პოლიტიკური ძალა არც ერთი არ არის. რა თავისებურებებსა და შექმნილი ვითარების განმაპირობებელ მიზეზებზე შეიძლება იყოს საუბარი?***

— რასაკვირველია, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის თვითმყოფადობა ზემოქმედებს ტრადიციულ წარმოდგენებზე, რომელსაც ჰქვია პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენი დღევანდელი რეალობა ერთ-ერთ მთავარ საზომად წარმოგვიჩენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორის მიმართულებას. ცხადია, აზრები განსხვავებულია, მაგრამ აქაც საჭიროა ფრთხილი შეფასებები და არა რადიკალური უარყოფა განსხვავებული აზრის. საუბარია დასავლეთზე, ჩრდილოეთზე, მთავარია, ამასობაში არ გამოგვრჩეს ვინმეს ლტოლვა აღმოსავლეთისა და სამხრეთისკენ.

ამასთანავე, ცხადია, რომ ჩვენში, ჩემი აზრით, დამკვიდრდა მცდარი ტერმინი, რასაც ჰქვია პრორუსული განწყობები. დიდი ალბათობით, ჩვენი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც მოვიხსენიებთ პრორუსულებად, უნდა აწუხებდეს ინფორმაციის დეფიციტი ანუ დღევანდელი რუსეთის შესახებ ინფორმაცია. ჩვენი საინფორმაციო სივრცისთვის არ არის პრიორიტეტული და ყურმოკვრით თუ იციან ე.წ. პრორუსებმა, რა ხდება რეალურად და რა ვითარებაა დღევანდელ რუსეთში. თუ ვინმეს ჰგონია, რომ რუსეთი იგივეა, რაც იყო სსრკ-ის დროს, მწარედ ცდება.

თუ ამ ადამიანებს არ დავეხმარეთ რეალური სურათის დანახვაში, მაშინ თავად ისინიც გარიყულად იგრძნობენ თავს ჩვენს ქვეყანაში და საზოგადოებაც დაკარგავს იმ ძალას, რომელიც აუცილებელი იქნება ქვეყნის შემდგომი წინსვლისთვის. ამიტომ უნდა განვასხვავოთ პრორუსულობა პროსაბჭოურობისაგან. დიახ, სწორედ პროსაბჭოური განწყობებია უფროს თაობაში, ვიდრე რაიმე ტიპის პრორუსულობა. ამის საფუძველი ნამდვილად გააჩნიათ უფროს თაობებს, რადგან დღევანდელ საქართველოში, სადაც ჩვენი ძირითადი სენი არის უმუშევრობა, საბჭოთა კავშირის პირობებში უმუშევრებს აკავებდნენ და იძულებით ამწესებდნენ სამსახურში. ჩვენთან კი სამსახურის პოვნა მრავალი ათასი ადამიანის ოცნებად რჩება.

შეცდომაში შესულ ჩვენს თანამემამულეებს უნდა დავეხმაროთ, თავად იპოვონ განსხვავება საბჭოთა კავშირსა და დღევანდელ რუსეთს შორის. მერწმუნეთ, რუსეთი და სსრკ კარგა ხანია, ერთმანეთთან არც ასოცირდება და ერთმანეთის არც სინონიმები არიან.

***— დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ქვეყანა ურთულესი გარე და შიგა გამოწვევების წინაშე დგას. მეორე თქვენი კოლეგის, გახტანგ ძაბირაძის აზრით, „2016 წლის არჩევნებისათვის ყველა პოლიტიკურ ძალას თითქმის ერთნაირი რეიტინგი ექნება“. ისეთი პირი უჩანს, რომ რეალურად არჩევნების წინ ქვეყანას არ ეყოლება პოლიტიკური ძალა, რომელიც მეინსტრიმის როლსა და ფუნქციას შეასრულებს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ აშკარად არასახარბიელო პერსპექტივაა. თქვენი აზრით, დღევანდელ ხელისუფლებას რატომ არა აქვს უმნიშვნელოვანეს საშინაო და საგარეო გამოწვევებზე მკაფიო და ცალსახა გზავნილები?***

— კონფიგურაცია, რომელიც დღეს პარლამენტში გვაქვს, უკვე მობეზრებული და მიუღებელია ქართველი საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილისათვის. უკანასკნელი არაერთი გამოკვლევა მიგვანიშნებს, რომ ასეთი კონფიგურაცია მომავალ პარლამენტში აღარ შენარჩუნდება. ამიტომაცაა გაზრდილი აქტიურობა მთლიანად არასაპარლამენტო პოლიტიკურ სპექტრში.

საზოგადოებაც უნდა იყოს ინფორმირებული ყველა დეტალის შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში იმისათვის, რომ არ დავკარგოთ ამომრჩევლები, არ დავთრგუნოთ ისინი მხოლოდ პოპულისტური განცხადებებითა და არცთუ სანდო დაპირებებით. აუცილებელია, რომ ჩვენ თითოეული ამომრჩევლისთვის მკაფიო გავხადოთ მისი პიროვნული მონაწილეობის მნიშვნელობა არჩევნებში.

არჩევნები არ გახლავთ მხოლოდ პოლიტიკოსების შერჩევის პროცესი. არჩევნები არის თავად საზოგადოების მიერ საკუთარი თავისთვის შესაბამისი მანდატის გამოცხადება. ნიჰილიზმი ყოველთვის ვნებს და არჩევნების შემდგომ ამჟღავნებს დიდ უკმაყოფილებას საზოგადოებაში.

თუკი რომელიმე პოლიტიკოსმა არცთუ სახარბიელო ქმედება ჩაიდინა, იმით ტრაბახი, რომ მე მისთვის ხმა არ მიმიცია და მე არ ვყოფილვარ არჩევნებზე, არის ყველაზე მწარე განაჩენი საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებისათვის. ყველა უნდა მივიდეს არჩევნებზე. რატომ უნდა თქვას ადამიანმა უარი საკუთარი ნების გამოხატვის პროცესზე, თუ იგი თავს ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ გრძნობს? ეს ხომ ჩვენი საზოგადოების ოცნებაა, რომ ასე მოხდეს ანუ არჩევნებზე იყოს ხალხის პოლიტიკური აქტიურობა. ამიტომ წინასაარჩევნო პერიოდი არ შეიძლება იყოს მხოლოდ პოლიტიკურ პარტიათა არენა. ამ პროცესში ძალიან აქტიური უნდა იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი რაოდენობა, რაც იქნება ჩვენი საზოგადოების სწორ გზაზე დაყენების გარანტია.

სამუშაო ძალიან ბევრია იმისათვის, რომ ჩვენ ყველამ ერთად 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს ავარიდოთ გარედან საგარეო პოლიტიკაზე ზეწოლა და ვიყოთ თავისუფალნი საკუთარ არჩევნებში.

***— როგორ განვითარდება ქართულ პოლიტიკურ ველზე პოლიტიკური პროცესები 2015 წლის შემოდგომაზე და არჩევნებამდე დარჩენილ დროში?***

— სამწუხაროდ, ძირითად პოლიტიკურ სუბიექტებში ვერ ვხედავ პოტენციალს, შეიცვალონ მოახლოებულ შემოდგომაზე და სიახლეებით იარონ მომავალ შემოდგომამდე. ვიმეორებ, თვითკრიტიკის გარეშე, ოღონდ კაბინეტური თვითკრიტიკის კი არა, საჯარო სივრცეში თვითკრიტიკის გარეშე ისინი ვერ შეძლებენ საკუთარი თავის შეფასებას და დარჩებიან მხოლოდ გაბუტული იმათთან, ვინც ხოტბას არ ასხამს მათ.

ნებისმიერი საჯარო კრიტიკა აღიქმება, როგორც მოწინააღმდეგე პოლიტიკური ჯგუფის მხარდაჭერა. ეს პრიმიტიული მიდგომები არახალია. ძალიან ვწუხვარ, რომ დღევანდელ პოლიტიკურ სივრცესაც ახასიათებს გამოთქმა — ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი მოწინააღმდეგეა.

რომ წარმოვიდგინოთ ჩვენი პოლიტიკური სივრცის გამაერთიანებელი თუნდაც გარკვეული თემები, ასეთი არცთუ ისე ბევრია, მაგრამ, უნდა ვეცადოთ, რომ ეს თემები იყოს გაზიარებული ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ.

„ქართულ ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ შორის ურთიერთობებში რაიმე ცვლილება ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის უაღრესად აუცილებელია. ნუ დავივიწყებთ უინსტონ ჩერჩილის გონივრულ შეგონებას — „როდესაც იწყება კამათი აწმყოსა და წარსულს შორის, აღმოვაჩენთ, რომ ჩვენ დავკარგეთ მომავალი“. ამიტომ, უნდა ვეცადოთ, ვიყოთ ორიენტირებული მომავალზე და შევეგუოთ იმას, რომ „ქართულ ოცნებას“ არ ეყო არც ნება, არც სურვილი იმისა, რომ აღმდგარიყო ქვეყანაში ის სამართლიანობა, რომლის იმედი ბევრს ჰქონდა. თავად მათაც უნდა აიღონ პასუხისმგებლობა იმაზე, რომ დღემდე უამრავი ადამიანი უსამართლობის წინაშეა დარჩენილი. „ვერ შევძელით, ბოდიში“, — ასე უნდა მოგვმართოს „ქართულმა ოცნებამ“ სამართლიანობის თემაზე საუბრისას.

კობა ბენდელიანი
„ინტერპრესნიუსი“

# ქართული ქვევრი ჟენევაში დაიდებს ბინას

**ოფიციალური დელეგაციების გარდა, ქვევრის ნახვა ფართო საზოგადოებასაც შეეძლება. გაერო-ს ჟენევის ოფისს კი ყოველწლიურად 100.000-ზე მეტი ვიზიტორი სტუმრობს**





სექტემბერში ქალაქ ჟენევაში, გაეროს განყოფილების გენერალური დირექტორის ოფისის ეზოში, მთავარ შესასვლელთან შესაბამისი საინფორმაციო აბრით ქართული ქვევრი დაიდებს ბინას.

რა მიზეზით განთავსდება ქართული ქვევრი ჟენევაში? — ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ჟენევაში გაერო-ს განყოფილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის ხელმძღვანელი შალვა ცისკარაშვილი.

***— რას უკავშირდება გაერო-ს ჟენევის ოფისში ქვევრის განთავსება?***

— საქართველოში ქვევრში ღვინის დაყენება 8 ათასი წლის წინ დაიწყეს და ეს ტრადიცია დღემდე შენარჩუნებულია. 2013 წელს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი, ქართული მეთოდი შევიდა იუნესკო-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში, რაც მისი უნიკალურობის აღიარებაა.

ზემოხსენებული გარემოებისა და გაერო-ს დაარსების 70-ე წლისთავის აღსანიშნავად გაერო-ს ჟენევის ოფისს გადაეცემა ქვევრი, როგორც ოფიციალური საჩუქარი საქართველოსგან, ქვეყნისგან, სადაც ღვინო მისი უძველესი კულტურის შემადგენელი ნაწილია.

დარწმუნებული ვარ, ეს მოვლენა ხელს შეუწყობს როგორც ქვევრის ღვინის ცნობადობის ამაღლებას, ასევე ზოგადად ქართული ღვინის პოპულარიზაციას მსოფლიოში.

***— სად დაიდებს ქვევრი ბინას და პერმანენტულად იქნება თუ არა წარმოდგენილი გაერო-ს ჟენევის ოფისში?***

— ქვევრი, შესაბამის საინფორმაციო აბრასთან ერთად, პერმანენტულად განთავსდება ჟენევაში გაერო-ს განყოფილების გენერალური დირექტორის ოფისის შიდა ეზოში, შენობის მთავარ შესასვლელთან. ამ ტერიტორიის მონახულება ვიზიტორთა რეგულარული საინფორმაციო ტურების შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, ოფიციალური დელეგაციების გარდა, ქვევრის ნახვა ფართო საზოგადოებასაც შეეძლება. გაერო-ს ჟენევის ოფისს კი ყოველწლიურად 100.000-ზე მეტი ვიზიტორი სტუმრობს.

ქვევრის განთავსება მიმდინარე წლის სექტემბერში იგეგმება, რის შემდეგაც მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება ამ მოვლენისადმი მიძღვნილი სპეციალური ღონისძიების კონკრეტული თარიღი.

***— საქმიანობის ძირითადად რა მიმართულებებია პრიორიტეტული ჟენევაში საქართველოს წარმომადგენლობისთვის?***

— ჟენევაში, რომელიც მრავალმხრივი დიპლომატიის ყველაზე აქტიურ ცენტრს წარმოადგენს, განთავსებულია გაერო-ს ევროპული ოფისი, უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ორგანიზაციები და სააგენტოები. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, ადგილსამყოფელი ქალაქი ხშირად მოიხსენიება, როგორც „საერთაშორისო ჟენევა".

ორგანიზაციების სპეციფიკიდან გამომდინარე, მისიის დიპლომატები, სხვა დელეგაციებთან ერთად, ჩართულნი არიან ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების სფეროში, ჯანმრთელობის დაცვისა და ინტელექტუალური საკუთრების, შრომითი ურთიერთობებისა და გარემოს დაცვის, ვაჭრობისა და განიარაღების სფეროში არსებული საკითხების განხილვაში და საერთაშორისო ნორმების შემუშავებისა და შემდგომი განვითარების პროცესში.

მუდმივი წარმომადგენლობის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის კონსოლიდაცია, გაერო-ს „ოჯახის" წევრი ორგანიზაციების ჩართულობის გაღრმავება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

ამ კონტექსტში, საქართველოს დელეგაციის მონაწილეობა გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს საქმიანობაში, ინტენსიური ურთიერთობები ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრისა და ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისებთან წარმოადგენს მისიის უმთავრეს პრიორიტეტს.

ამგვარი თანამშრომლობის ნათელი მაგალითია ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მიერ საქართველოში გასულ წელს განხორციელებული ვიზიტი. ამ ვიზიტის ფარგლებში უმაღლესი კომისარი გავიდა საოკუპაციო ზოლთან, სადაც ჩვენთან ერთად საკუთარი თვალით იხილა საოკუპაციო ძალის მიერ მავთულხლართების ინსტალაციის უკანონო პროცესის შედეგები.

ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ მდგომარეობას უმაღლესმა კომისარმა განსაკუთრებული ადგილი დაუთმო თავის შემაჯამებელ განცხადებაში, სადაც მან უმკაცრესი შეფასება მისცა ორივე რეგიონში მიმდინარე უკანონო პროცესებს.

***— გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოში საქართველოს კანდიდატურასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ: საქართველომ გააკეთა განაცხადი წევრობაზე 2016-18 წლებში. როგორ მიდის კამპანია და არჩევის შემთხვევაში რა გეგმები აქვს საქართველოს წევრობის პერიოდში?***

— გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭო არის მთავრობათაშორისი ორგანო, რომელიც შედგება გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ არჩეული 47 სახელმწიფოსგან. საბჭო პასუხისმგებელია მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვასა და ხელშეწყობაზე. აქტიურ საარჩევნო კამპანიაში საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად ჩართულია საქართველოს ყველა დიპლომატიური წარმომადგენლობა.

საარჩევნო კამპანიის გეოგრაფიამ მოიცვა როგორც ნიუ იორკი და ჟენევა, ასევე დედაქალაქებიც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მხოლოდ ჟენევაში შედგა მაღალი დონის 4 ვიზიტი, მათ შორის 3 — საგარეო საქმეთა მინისტრის, ხოლო 1 მინისტრის მოადგილის დონეზე. საქართველოს კანდიდატურა დამტკიცდა რეგიონულ ჯგუფში, რაც საარჩევნო კამპანიის უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს.

იმედი მაქვს, მიმდინარე წლის შემოდგომაზე, დაგეგმილი არჩევნების შედეგად, საქართველო თავის ისტორიაში პირველად არჩეული იქნება ამ უმნიშვნელოვანესი ორგანოს წევრად, რაც ქვეყნისა და მუდმივი წარმომადგენლობისთვის, დიდ პატივთან ერთად, უდიდესი პასუხისმგებლობაცაა.

საბჭოს წევრი-სახელმწიფოს ყოველწლიური სამუშაო განრიგი მოიცავს ადამიანის უფლებათა საბჭოს 3 რეგულარულ სესიას, შესაძლო სპეციალურ სესიებს, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სესიებსა და სხვა სხდომებს.

არჩევის შემთხვევაში, საქართველოს დელეგაცია აქტიურად იქნება ჩართული საბჭოს მუშაობაში დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ირგვლივ, მათ შორის რეზოლუციების მთავარ ჯგუფებსა და სხვადასხვა თემატურ საკითხზე ე.წ. მეგობართა ჯგუფებში მონაწილეობის სახით, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მსოფლიოში არსებულ პრობლემებზე პრაქტიკული გადაწყვეტილებების შემუშავებაში.

საქართველოს დელეგაცია დღესაც აქტიურად იყენებს ადამიანის უფლებათა საბჭოს ტრიბუნას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემების რეგულარულად წარმოსაჩენად.

ამ მხრივ მისია გააგრძელებს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებული ე.წ. „შავი ხვრელების" საკითხის წარმოჩენას, მათ შორის ჩვენი მაგალითის გათვალისწინებით. გაერო-ს სისტემის ამ უმნიშვნელოვანეს ორგანოში გაწევრიანება კარგი შესაძლებლობაა მავთულხლართების მეორე მხარეს დარჩენილი მოსახლეობისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებზე საერთაშორისო თანამეგობრობისა და გაერო-ს აქტორების მხრიდან მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

**მარიამ ჩუბინიძე,**
ნიუსპრესი

## ვიქტორ იუშჩენკო: მიხეილ სააკაშვილი ჩემი მეგობარია და მასზე ყოველთვის კარგს ვილაპარაკებ"



ვიქტორ იუშჩენკოს განცხადებით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საქმიანობის შეფასებაში ობიექტური ვერ იქნება, რადგან სააკაშვილი მისი მეგობარია. ამის შესახებ იუშჩენკომ ქართველ ჟურნალისტებს ბათუმის აეროპორტში, ბათუმიდან გამგზავრებამდე განუცხადა.

კითხვაზე, როდის ვითარდებოდა საქართველო, როდესაც სააკაშვილი იყო პრეზიდენტი თუ ახლა, იუშჩენკომ განაცხადა, რომ ობიექტური ვერ იქნება.

— გულწრფელად გეტყვით, მიხეილ სააკაშვილი არის ჩემი მეგობარი და მასზე ყოველთვის კარგს ვილაპარაკებ. თქვენ თქვენი არჩევანი გაქვთ და ეს არჩევანი გააკეთეთ წლების წინ. ეს თქვენი უფლებაა, თქვენი არჩევანია, — აღნიშნა ექსპრეზიდენტმა.

მისი თქმით, ბათუმში ამჟამინდელ სტუმრობამდე ბოლოს, წლების წინ, საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად იყო.

ვიქტორ იუშჩენკო:

ჩვენ დავდიოდით სანაპიროზე, ვცვლიდით გეგმებს. ვსაუბრობდით, როგორ განვითარდებოდა ბათუმი, სად რა ობიექტები, სასტუმროები იქნებოდა.

დღეს ერთ-ერთი ოჯახური ზეიმის გამო ჩამოვედი. 3 დღე გავიარე ის ადგილები, სადაც დავდიოდი მიხეილ სააკაშვილთან ერთად. ძალიან მიხარია, რომ ამდენი რამე გაკეთდა ამ ქალაქში. ეს უკვე სულ სხვა ქალაქია, ნამდვილად ევროპული, ლამაზი ქალაქია. ეს კარგი მაგალითია, როგორი უნდა იყოს საქართველოს და უკრაინის სხვა ქალაქები.

ინტერპრესნიუსი

## მომავალ კვირას პარლამენტი მუშაობას შეუდგება

მომავალ კვირას პარლამენტი მუშაობას შეუდგება პარლამენტის პლენარული სხდომა 2 სექტემბერს გაიმართება. საშემოდგომო სესია პირველ სექტემბერს ბიუროს სხდომით გაიხსნება, 2 სექტემბერს კი პლენარული სხდომა ჩატარდება.

ერთ-ერთი საკითხი, რაზეც დეპუტატები იმსჯელებენ, „ეროვნული ბანკის შესახებ" კანონპროექტზე დადებული ვეტოა.

საპარლამენტო უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ „ეროვნული ბანკის შესახებ" კანონში ცვლილებებზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადებულ ვეტოს უპრობლემოდ დაძლევენ. მმართველი პარტიის წევრების განცხადებით, საპარლამენტო უმრავლესობას ამისთვის საკმარისი რესურსი აქვს.

საპარლამენტო ოპოზიცია კი ეროვნული ბანკისთვის ზედამხედველობის ფუნქციის ჩამორთმევას კვლავ მხარს არ უჭერს. კანონმდებლები ასევე იმსჯელებენ „პროკურატურის შესახებ" კანონპროექტზე. ასევე მესამე მოსმენით კენჭს უყრიან „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებს.

ინტერპრესნიუსი



*სამართალი*




## სოფელ მელაანში მომხდარ ავარიას ერთი ადამიანი ემსხვერპლა

გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში მომხდარ ავარიას ერთი ადამიანი ემსხვერპლა და ორი დაშავდა. ერთმანეთს „ოპელისა" და „მერსედესის" მარკის ავტომობილები შეეჯახნენ. დაშავებულები საავადმყოფოში არიან გადაყვანილები.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის გარდაცვალება გამოიწვია.

ინტერპრესნიუსი

## კანდელაკის ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს




თბილისში, კანდელაკის ქუჩაზე ცეცხლსასროლი იარაღიდან ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მომხდარ ფაქტს ადასტურებს.

შემთხვევა გუშინ მოხდა. მამაკაცი საავადმყოფოშია გადაყვანილი, სადაც მას ოპერაცია ჩაუტარდა.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცს 3 ტყვია აქვს მოხვედრილი.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ინტერპრესნიუსი



## სამართალდამცველებმა სლოვაკ ტურისტებს დაკარგული ნივთები დაუბრუნეს

სამართალდამცველებმა სლოვაკ ტურისტებს დაკარგული ნივთები დაუბრუნეს. შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბორჯომის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, სლოვაკეთის რესპუბლიკის მოქალაქეების დაკარგული ნივთები იპოვეს და კანონიერ მფლობელებს დაუბრუნეს.

შსს-ს ცნობით, სლოვაკეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე — პეტრა კ. და მისი მეგობარი თიბორ დ. მიკროავტობუსით თბილისიდან ბორჯომის მიმართულებით მგზავრობდნენ. როდესაც მიკროავტობუსიდან ჩავიდნენ, ტრანსპორტში დარჩათ საფულე პირადი საბუთებით, 2 საკრედიტო ბარათი, სადაზღვევო პოლისი და სამგზავრო ბარათები, 2300 ევრო და 160 ლარი.

სამართალდამცველებმა დაადგინეს მიკროავტობუსი, რომლითაც სლოვაკი ტურისტები მგზავრობდნენ, დაკარგული ნივთები იპოვეს და კანონიერ მფლობელებს დაუბრუნეს.

ინტერპრესნიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!
სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე
ქ-ნი ქეთევანი
მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# საქართველოში რუსული კაპიტალი იზრდება

**მცოცავი ოკუპაციის პარალელურად, საქართველოში რუსული კაპიტალი იზრდება.**

კომუნიკაციები, წყალმომარაგება, მინერალური წყლები და ბანკები ის სექტორებია, რომლებშიც რუსული კომპანიები და რუსეთის მოქალაქეები მნიშვნელოვნად არიან წარმოდგენილნი.

მათი ყველაზე დიდი წილი ენერგოსექტორშია.

რამდენად საფრთხის შემცველია რუსული კაპიტალის დიდი წილი საქართველოსთვის? რა მიზანი ამოძრავებს საქართველოს მთავრობას, როდესაც ის უფრო და უფრო მეტ რუს ინვესტორს უშვებს ქვეყანაში და რას უნდა ველოდოთ რუსეთისგან, თუ იგი მოახერხებს საქართველოს მთლიანი ენერგოსექტორის დაუფლებას?

რუსეთის გავლენის სავალალო მაგალითები საქართველოდან არცთუ ისე შორსაა. მეზობელ სომხეთში რუსეთი არა მხოლოდ ენერგოსექტორს, არამედ ქვეყნის მთელ ეკონომიკას აკონტროლებს. რამდენიმე თვის წინ, სომხეთში ელექტროენერგიაზე ტარიფების გაზრდის გამო, მასობრივი საპროტესტო აქციებიც კი გაიმართა. რუსეთის დომინირებამ და მისმა ზეწოლამ სომხეთი აიძულა, უარი ეთქვა ევროპულ მისწრაფებებზე და ევრაზიული ეკონომიკური კავშირი აერჩია. ახლა კი საქართველომ უნდა განსაზღვროს წინასწარ რუსეთის მოსალოდნელი ქმედებები მეზობელი ქვეყნის მაგალითზე. თუმცა, მსგავსი ტენდენცია ქვეყანაში ჯერჯერობით არ იგრძნობა.



IDFI-ის (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი) ფინანსური მხარდაჭერით, „დამოუკიდებლობა.ცომ“-ის მიერ მომზადებული კვლევის მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი რუსული კომპანია „ინტერ რაო“ საქართველოს ენერგოობიექტების დიდ წილს ფლობს. მათ შორის, „თელასს“ (75%), შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს,“ ხრამჰეს 1“ და „ხრამჰეს 2“-ს და „ენგურჰესს“.

„ინტერ რაოს“ მთავარი აქციონერები რუსეთის მთავრობასთან დაახლოებული კომპანიები არიან. უფრო მეტიც, „ინტერ რაოს“ სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი იგორ სეჩინია, რომელიც ვლადიმერ პუტინის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია.

„ინტერ რაოს“ გარდა, რუსეთის მოქალაქეები საქართველოში სხვა მსხვილ ჰიდროელექტროსადგურებსაც ფლობენ.

მაგალითად, რუსეთის მოქალაქე მევლუდ ბლიაძე შპს „ენერგია“-ს 70%-ს ფლობს. აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია „დარიალჰესი“, „ლარსიჰესი“ და „შილდაჰესი“. მევლუდ ბლიაძის ინვესტიცია 2011 წელს რუსეთიდან განხორციელებულ ყველაზე მსხვილ ინვესტიციებს შორის მოხვდა.

— სხვა ენერგოობიექტები, რომელთაც რუსები ფლობენ, არის „ავანი ჰესი“, „ალგეთი ჰესი“ და „სკურდიდი ჰესი“. ამასთან, რუსული და ქართული მხარე ერთობლივად ფლობს „საქრუსენერგოსაც“, რომელიც ქვეყანაში ელექტროენერგიის გადამცემ სისტემას განკარგავს, — წერია კვლევაში.

კვლევის ერთ-ერთი ავტორის, ნატა ძველიშვილის, თქმით, სტრატეგიული ენერგოობიექტების რუსებისთვის მიყიდვა ახალი ტენდენცია არაა:

— ეს არ დაწყებულა 2014 ან 2015 წელს. კომპანიების გაყიდვა დაიწყო 2000-იან წლებში.

მაშინ შემოვიდა „ინტერ რაო“ საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ჯერ „ენგურჰესი“ გადაეცა მას, შემდეგ კი „ხრამჰესი 1“, „ხრამჰესი 2“. „ხრამჰესი 1“ და „ხრამჰესი 2“ გაიყიდა პირდაპირი მიყიდვის წესით. არც ერთ სხვა ინვესტორს არ ჰქონია შესაძლებლობა იმისა, რომ მონაწილეობა მიეღო კონკურსში.

ენერგეტიკის საკითხებში ექსპერტის, იუჯინ კოგანის თქმით, რუსეთის სურვილია, შეინარჩუნოს საქართველოზე არა მხოლოდ პოლიტიკური კონტროლი, არამედ ეკონომიკური და სოციალურიც.

— რუსული კაპიტალის დიდი წილი საქართველოში ნიშნავს იმას, რომ რუსეთი ინარჩუნებს საქართველოზე ეკონომიკურ და ფინანსურ ბერკეტს. ამ ბერკეტს საერთო არაფერი აქვს რუსეთის განცხადებებთან, რომ რუსული ინვესტიციებით ის ჰპირდება საქართველოს ეკონომიკას დამატებით თანხებს და დასაქმებას. საქართველო ამით არ იქნება უზრუნველყოფილი, — ამბობს ექსპერტი.

კოგანის აზრით, საქართველოს მთავრობა შეშინებულია რუსული კაპიტალის ნაკადით, თუმცა, სიჩუმეს ინარჩუნებს და ვერ ბედავს ანტირუსული ზომების მიღებას.

კოგანი ფიქრობს, რომ რუსეთს სურს, ენერგოკომპანიების უმრავლესობას დაეუფლოს და შემდეგ დანარჩენებს საკუთარი პირობები წაუყენოს. ეს აისახება ფასების რეგულირებაზეც.

— ზოგმა შესაძლოა თქვას, რომ ეს შორეული პერსპექტივაა, თუმცა, აბსოლუტურად შესაძლებელია, ყველაფერი ისე მოხდეს საქართველოშიც, როგორც სომხეთში მოხდა. მაგალითად, ახლა სომხეთში ელექტროენერგიის ფასებს რუსული მხარე განსაზღვრავს, — ამბობს იუჯინ კოგანი.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია.

— საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ვერ ხედავს საშიშროებას, რომ რომელიმე ქვეყანა იქცეს ენერგომონოპოლისტად საქართველოს ენერგოსექტორში, — აღნიშნა ენერგეტიკის სამინისტროს საინვესტიციო პროექტების დეპარტამენტის უფროსმა, ლიზა თავდუმაძემ.

ინვესტიციების წინააღმდეგი არავინაა, თუმცა, მნიშვნელოვანია დავრწმუნდეთ, რომ ის ქვეყანას სამომავლოდ საფრთხეს არ შეუქმნის.

თამთა ჯიჯავაძე,
ბიპიენი

# „ნიკორამ“ „ნუგეში“ იყიდა

კომპანია „ნიკორამ“ „ნუგეშის“ ქსელი შეიძინა.

გადაბარების პროცესი მალე დასრულდება, შედეგად „ნიკორა ტრეიდი“ ქართულ ბაზარზე 200-ზე მეტი ობიექტით იქნება წარმოდგენილი. „ნუგეშის“ ქსელში იყო 25 მაღაზია და 63 ჯიხური, „ნიკორას“ ქსელში — 120. რამდენიმე თვის წინ მედია წერდა, რომ „ნიკორას“ „ნუგეშის“ შეძენა სურდა.




მაშინ „ნიკორაში“ ეს არ დაადასტურეს, ახლა კი ცნობილი ხდება, რომ „ნუგეშის“ აქტივები გამოსყიდულია 5 მფლობელისგან (60% აკაკი ახვლედიანი; 19,5% უტა მაზიაშვილი; 15,6% გოჩა დარჩიაშვილი; 10% გიგა ხვინგია; 5,25% ვლადიმერ დარჩიაშვილი).

კომპანიის გეგმების შესახებ დეტალურად სექტემბერში გახდება ცნობილი, ამავე პერიოდში დასახელდება გარიგების ღირებულებაც.

ასევე ცნობილი ხდება, რომ „ნიკორა ტრეიდმა“ კაპიტალი 9,175 მლნ ლარიდან, 11,175 მლნ ლარამდე გაზარდა.

„ნიკორა ტრეიდი“ რამდენიმე მიმართულებით (რძის, ნაყინის, პურ-ფუნთუშეულის, თევზის, გამაგრილებელი სასმელების წარმოება) სხვადასხვა კომპანიით (ჩვენი ფერმერი, პალომა, მზარეული, ოკეანე, ინ ტრეიდი) არის წარმოდგენილი.

„ნიკორამ“ შარშან ქართულ ბაზარზე არსებული რამდენიმე სავაჭრო ქსელი შეიძინა. საუბარია „სანდეიზე“ (ზუგდიდი), „კი ბატონოსა“ და „ჰომმარტზე“ (თბილისი).

გასულ წელს კომპანიამ წინა წელთან შედარებით რეალიზაცია 25%-ით გაზარდა.

„ნიკორაში“ აღნიშნულ შენაძენთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. „ნუგეშის“ წარმომადგენელმა კი „კომერსანტს“ გარიგების ფაქტი დაუდასტურა.

კომერსანტ.გე

# საბერძნეთიდან საქართველოში თანხის გადმორიცხვა აღდგა

**1 ადამიანს 1 თვეში 500 ევროს გადმორიცხვა შეუძლია**



საბერძნეთიდან საქართველოში თანხის გადმორიცხვა აღდგა. თუმცა, საბერძნეთიდან ფულადი გზავნილების საქართველოში გადმორიცხვა ლიმიტირებულადაა შესაძლებელი.

ევროკავშირში ფულადი გზავნილების პირველი ქართული ლიცენზირებული კომპანია „ინტელექსპრესის“ იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლევან დუნდუა „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ საბერძნეთიდან დაახლოებით 10 დღეა, ფულადი მიმოქცევა განახლდა, თუმცა, ერთ ადამიანს, თვის განმავლობაში, მხოლოდ 500 ევროს გადმორიცხვა შეუძლია.

დუნდუა ვერ ასახელებს, როდემდე იმოქმედებს დაწესებული ლიმიტები, რადგან აღნიშნული შეზღუდვის მოხსნა საბერძნეთის ცენტრალური ბანკის პრეროგატივაა.

მისი თქმით, ჯერჯერობით უცნობია, საბერძნეთში შექმნილი მდგომარეობის გამო კომპანიას ამ დროისთვის რა ოდენობის ფინანსური ზარალი მიადგა. კომპანიას შესაბამისი სტატისტიკა ჯერ არ უწარმოებია.

---

საბერძნეთში ბანკების დახურვის გადაწყვეტილება 2015 წლის 29 ივნისს, მას შემდეგ მიიღეს, რაც მოსახლეობამ შექმნილი პანიკის გამო ბანკებიდან დიდი რაოდენობით თანხის გატანა დაიწყო. ასევე დაწესდა ლიმიტი ბანკომატებიდან თანხის გატანაზე დღეში 60 ევროს ოდენობით.

ბერძნულმა ბანკებმა მუშაობა 20 ივლისს განაახლეს, თუმცა საერთაშორისო გადარიცხვებს ვერ ახორციელებდნენ.

„ინტელექსპრესი“ 2006 წელს დაარსდა საქართველოში და გააჩნია საკუთარი ქსელი საქართველოში, დიდ ბრიტანეთში, იტალიასა და საბერძნეთში.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე

# კომერციული ფართის გაქირავება გაჭირდა

ლია ოსაძე

**თბილისის ქუჩებში თითქმის ყოველ მეორე ნაბიჯზე შეხვდებით წარწერას, რომელიც გატყობინებთ, რომ კომერციული ფართი ქირავდება ან იყიდება.**

ლარის დაცემის გამო კომერციული ფართის მეპატრონეები იძულებულნი გახდნენ, დამქირავებლებისთვის საფასური მოემატებინათ, რამაც დამქირავებლებში უკმაყოფილება გამოიწვია.

„ახალი თაობა“ კომერციული ფართის მეპატრონეებსა და დამქირავებლებს დაუკავშირდა და გამოკითხვა ჩაატარა.

ნინო გვენეტაძის მეუღლე 15 წელია, საბერძნეთშია სამუშაოდ წასული.

— პირველად ძალიან კარგად გვიგზავნიდა თანხას და მეც ისნის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე პატარა კომერციული ფართი შევიძინე. როგორც კი ფართი შევიძინე, მაშინვე გავაქირავე, ქალმა ლომბარდისთვის იქირავა ფართი, — ამბობს ნინო.

ქალი მას 9 წლის განმავლობაში თვეში 800 დოლარს აძლევდა.

— ახლა ფასი მოვუმატე, მაგრამ მომატებული თანხა აღარ გადამიხადა და დამიცალა. სულ ერთი თვეა, რაც ეს ფართი 1.000 დოლარად გავაქირავე, — გვითხრა ნინომ.

**ხათუნა ფრუიძე:**

— 10 წელია, რაც ეს ფართი მაქვს ნაქირავები. როცა მეპატრონემ ფასის მომატებაზე დამიწყო საუბარი, მაშინვე ვუთხარი, რომ მომატების შემთხვევაში ფართს დავცლიდი. მეპატრონემ არ ვიცი, რა იფიქრა, ზაფხული იყო და ფართს ვერ გააქირავებდა თუ ამდენი წელი პატიოსნად რომ ვუხდიდი ფულს, ის გაითვალისწინა. მოკლედ, გადასახადი არ გამიძვირა. ისევ 750 ლარს ვუხდი.

რეზო ისნის რაიონში 140 კვ.მ ფართის გაყიდვას 35.000 დოლარად ცდილობდა, მაგრამ ვერ მოახერხა.

— ახლა ლარი რომ გაუფასურდა, გაყიდვა დროებით შევაჩერე, რადგან ჩემთვის სასურველ თანხას არ მომცემენ, თუმცა, აბრაც არ ჩამოვიღე, იქნებ მყიდველი გამოჩნდეს და შევთანხმდეთ, — ამბობს რეზო.

მარინე ლომთაძეს ქეთევან წამებულის ქუჩაზე ხელოვნური ყვავილების პატარა მაღაზია ჰქონდა. ის მაღაზიის პატრონს ქირას უხდიდა.

— რაც ლარი გაუფასურდა, მუშაობა შეწყდა, ვის რად უნდა შენი ყვავილები, ხალხს არსებობა უჭირს. ბუნებრივია, ფართის მეპატრონემ გადასახადი გამიზარდა, რასაც ვერ შევწვდი და მაღაზია დავხურე, — გვითხრა ყვავილების გამყიდველმა.

ლელა გელაძე კომერციული ფართისთვის შავი კარკასს ყიდის ჯიქიას ქუჩაზე, მაგრამ უშედეგოდ.

— ჩემი შავი კარკასი 215 კვ მეტრია. ერთ კვ მეტრს 370 დოლარად ვერ ვყიდი. მსურველი ბევრია, მაგრამ თანხას ვერ იხდიან, — ამბობს ლელა.

უძრავი ქონების სააგენტოს დირექტორი გელა გიგინეიშვილი ამბობს, რომ ლარის დაცემამ მათ საქმიანობას ხელი დიდად არ შეუშალა.

— აქ უფრო შეთანხმების მომენტია, მეპატრონე ან აკლებს, ან არ აკლებს. აკლებენ ფასის 10%-ს. ვისაც ფართის დაქირავება უნდა, ის მაინც ქირაობს. შეიძლება, კომერციული ფართის მეპატრონეს ისე მოეწონოს დამქირავებელი, რომ თანხა დაუკლოს. მაგალითად, მეპატრონემ 1.000-დოლარიანი ფართი დამქირავებელს 800 დოლარად მიაქირავა, რადგან ის ადამიანი მოეწონა და დაინახა, რომ ცუდი პიროვნება არ იყო, — გვითხრა გელა გიგინეიშვილმა.



კომერციული ფართი ყველაზე ძვირი ვარკეთილის, მარჯანიშვილისა და გლდანის მეტროების მიმდებარე ტერიტორიებია. მარჯანიშვილის მეტროს ტერიტორიაზე ერთი კვ. მეტრის ღირებულება 4.-5.000 დოლარია.

— მეპატრონეები იმიტომ ვერ აქირავებენ კომერციულ ფართს, რომ ღრუბლებში დაფრინავენ, — გვითხრა ერთ-ერთი სააგენტოს დირექტორმა ირინა ჩეკავინამ.

მისი თქმით, მეპატრონეებს ფართის იმ ფასად გაქირავება უნდათ, რა ფასადაც ადრე აქირავებდნენ ანუ სანამ ლარის კურის დაეცემოდა. ამიტომაც უჭირთ გაქირავება.

— იყო ორი შემთხვევა, როდესაც მეპატრონემ დამქირავებელს თანხა დაუკლო — 300-დოლარიანი ფართი 250 დოლარად გააქირავა, რადგან დამქირავებელი მეტს არ იხდიდა. მეორე შემთხვევა საოფისე ფართს ეხებოდა. ორივე მხარე შეთანხმდა და საოფისე ფართი 1.000 ლარად გაქირავდა. შეიძლება, მეპატრონეს მეტი უნდოდა, მაგრამ დამქირავებელს მეტის გადახდა არ შეეძლო და მეპატრონე იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო, — გვითხრა ირინა ჩეკავინამ.



# კიბოს საწინააღმდეგო საშუალება — ზეითუნის ზეთი

არსებობს მოსაზრება, რომ ზოგიერთ მცენარეს კიბოს უჯრედების განეიტრალების უნარი აქვს. კიბოს საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებად ითვლება ზეითუნის ზეთი.

ყველა ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მცენარესაც ახასიათებს ტოქსიკურობა, ამიტომ მათი მიღებისასაც უნდა გაითვალისწინონ მკურნალი ექიმის მითითებები, რათა მედიკამენტოზურ მკურნალბასთან ერთად უკუშედეგი არ იქნას მიღებული.

❖ ❖ ❖

როგორ გამოვიყენოთ კიბოს უჯრედების ზრდის შემაჩერებელი მცენარეების ნაყენი

ქრისტესისხლა — ნედლი მცენარე გაატარეთ ხორცსაკეპში და გამოწურეთ წვენი. დააკონსერვეთ იგი არაყით 1:1 და შეინახეთ ოთახის ტემპერატურაზე. სვით თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, დააყოლეთ არყის ჭიქით წყალი.

❖ ❖ ❖

ნაცარქათამას ფესვი (გადახრილი პეონი, იორდასალიმი) — დააქუცმაცეთ 100 გრამი ფესვი და დაასხით 1 ლიტრი არაყი ან 75%-იანი სპირტი. სვით 0,5-1 ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, დააყოლეთ არყის ჭიქით წყალი.

❖ ❖ ❖

თეთრი ფითრი — ნედლი მცენარე დააქუცმაცეთ, გაავსეთ ლიტრიანი ქილის 13 და ქილა შეავსეთ არყით ბოლომდე. დააყენეთ 30 დღე, შემდეგ გაწურეთ და დარჩენილი მცენარე გამოწურეთ. სვით თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, მიაყოლეთ წყალი.



ამ ბალახების ნაყენები მონაცვლეობით მიიღეთ ყოველ ერთ-ორ კვირაში ერთხელ. სასურველია ერთ-ერთი წყლიანი ნაყენი ან წვენი მიიღოთ საღამოთი, ვახშმის წინ. მკურნალობის კურსია არაუმეტეს სამი თვისა. დაავადების ლიკვიდაციის შემდეგ სასურველია სვათ ერთ-ერთი ნაყენი ერთხელ დღეში, ან რამოდენიმე მცენარის ჩაი, გემოვნების მიხედვით.

❖ ❖ ❖

ჩვეულებრივი ბრტყელკალა — 2 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ბალახი ხჯარშეთ 5-7 წუთი 0,5 ლ წყალში, გააცივეთ და გაწურეთ. სვით დღის განმავლობაში თანაბარი პორციებით.

ბრტყელკალას 3 დაფხვნილ ყვავილს დაასხით 0,4 ლ მდუღარე, დააყენეთ 1 სთ, გაწურეთ. სვით ნახევარ-ნახევარი ჭიქა 4-ჯერ დღეში. 25-30 დღის განმავლობაში.

ჩვეულებრივი ბრტყელეკალას ნედლი ფოთლების წვენს სვამენ თითო ჩაის კოვზს 3-ჯერ დღეში 30 დღის განმავლობაში.

კაროტინული დიეტა — მის შემადგენლობაში შედის ხახვი, სტაფილო, ნიორი, ბულგარული წიწაკა, მჟაუნა, ასკილი, ღოლო, ისპანახი, ოხრახუში და სხვ. სტაფილო უმჯობესია მოთუთქული ან მოხარშული, ნებისმიერ ცხიმთან ერთად.

# როგორ შევაჩეროთ სისხლდენა



ჭრილობების უმრავლესობა რამდენიმე წუთის განმავლობაში სისხლმდენია და ეს კარგია იმიტომ, რომ სისხლს მიყვება ჭრილობაში მოხვედრილი ბაქტერიების ერთი ნაწილი, ზომების მიღება საჭიროა იმ შემთხვევაში, როცა ძლიერი ან შეუჩერებელი სისხლდენაა. სისხლდენა ხელის ან ფეხის ძარღვებიდან ადვილი შესაჩერებელია, თუ კიდურებს ავწევთ. დააწვინეთ ბავშვი და კიდურს ქვეშ საიდანაც სისხლი სდის, ერთი ან ორი ბალიში ამოუდეთ, თუ ბავშვი შედარებით სუფთა საგნით დაიჭრა (მაგალითად დანით) და სისხლი სდის, ჭრილობას შიგნით ნუ გამოუსუფთავებთ. ოღონდ კიდეები ფრთხილად მობანეთ (საპნით, სუფთა წყლით ან წყალბადის ზეჟანგით) მაგრამ თუ ჭრილობაში ჭუჭყს შენიშნავთ, შიგნიდანაც კარგად გამოასუფთავეთ.

სისხლმდენი ჭრილობის შეხვევისას ბინტის სპეციალური საფენების ან ბამბის ქსოვილის რამდენიმე ფენაა საჭირო. ისე, რომ სქელი საფენი მიიღოთ. მას შემდეგ, რაც ჭრილობის ირგვლივ ლეიკოპლასტირს (ოღონდ არა მჭიდროდ) ან ბინტს შემოახვევთ, სისხლის დენა ჭრილობაზე დაწოლის გამო უნდა შეწყდეს.

❖ ❖ ❖

თუ სისხლის დენა ძალიან ძლიერია, დაუყოვნებლივ შეაჩერეთ ზედ დაწოლით და ვინმეს ბინტის მოტანა სთხოვეთ. თუ შესაძლებელია, კიდური ზემოთ ასწიეთ. საფენი სუფთა მასალისაგან გააკეთეთ: სულ ერთია ხელში რაც მოგხვდებათ — დოლბანდის ნაჭერი, სუფთა ცხვირსახოცი ან ტანსაცმლის (თქვენი ან ბავშვის) მეტ ნაკლებად სუფთა ნაჭერი. საფენი ჭრილობას დაადეთ და ასე მაგრად მიკრული გეჭიროთ, სანამ სისხლდენა არ შეჩერდება.

პირველად დადებული საფენი, მართალია მთლიანად სისხლით გაიჟღინთება, მაინც არ მოხსნათ, ძველს ზემოდან დაადეთ ახალი საფენი. თუ შეატყობთ, რომ სისხლის დენა შეჩერდა, თანაც შესაფერისი მასალა ხელთ გაქვთ, ჭრილობა მაგრად შეახვიეთ. საფენი იმდენად სქელი უნდა იყოს, რომ შეხვევისას ჭრილობას მაგრად დააწვეს. თითისთვის პატარა საფენიც საკმარისია, მაგრამ თეძოსა ან მუცლისთვის აუცილებელია სქელი საფენი.

თუ სახვევი სისხლის დენას ვერ აჩერებს, ჭრილობას ხელით დააწექით. თუ ძლიერი სისხლის დენის მომენტში შესახვევი მასალა ან რაიმე ნაჭერიც კი არ გაქვთ, ჭრილობის კიდეებს ხელი მოუჭირეთ ან სულაც ჭრილობის შიგნით ღრმად დააწექით ხელით.

ძლიერი სისხლის დენის უმრავლესობა ხელის უბრალო დაწოლითაც კი შეჩერდება. თუ ისეთ სისხლის დენასთან გაქვთ საქმე, რომელიც უბრალო დაწოლით არ წყდება, მაშინ ლახტი დაადეთ. თუმცა, ლახტის დადება იშვიათად ხდება აუცილებელი. მაგრამ თუ ლახტის დადება არ იცით, არც სცადოთ. ლახტის შესუსტება აუცილებელია ყოველ ნახევარ საათში ერთხელ.

❖ ❖ ❖

ცხირიდან სისხლდენის შეჩერების რამდენიმე უბრალო ხერხი არსებობს. ხშირად, საკმარისია, წყნარად იჯდეთ რამდენიმე წუთის განმავლობაში. ბავშვი სისხლს არ გადაყლაპავს, თუ თავს დაბლა დახრის. თუ ზის თავი ოდნავ დაბლა უნდა დახაროს, ხოლო თუ წევს გვერდზე მიაბრუნოს. არ მისცეთ ნება ცხვირი მოიხოცოს ან ნესტოებს ცხირსახოცი მოუჭიროს. შეიძლება ოდნავ მიიდოს ცხვირსახოცი ნესტოებთან. სისხლის დენა გაძლიერდება, თუ ბავშვის ცხვირს ხელს ახლებთ. თავზე ცივის დადება ხელს უწყობს სისხლძარღვთა შეკუმშვას და სისხლის დენის შეჩერებას. კისრის უკანა მხარეს, შუბლს ან ზემო ტუჩს რაიმე ცივი უნდა დაადოთ. ამისთვის გამოდგება ცივ წყალში დასველებული ნაჭერიც, ყინულიანი ბუშტიც და მაცივრიდან გამოღებული ნებისმიერი ბოთლიც კი. თუ ამ ზომების მიუხედავად, სისხლდენა 10 წუთზე მეტ ხანს გაგრძელდა, მიმართეთ ექიმს. თუ ცხვირის შესასვლელების შემავიწროვებელი წვეთები გაქვთ, ბამბა დაასველეთ და ტამპონი ნესტოში შეიტანეთ. ზოგჯერ ძლიერ სისხლდენას ასეც შეაჩერებთ — 10 წუთის განმავლობაში ნელნელა მოუჭირეთ ხელი ნესტოებს. ხელი ასევე ნელ-ნელა და ფრთხილად გაუშვით. სისხლის დენა შეიძლება გამოიწვიოს ცხვირში ხელის გარტყმამ, ცხვირში ხელის შეყოფამ, გაციებამ და სხვა დაავადებებმა. თუ ბავშვმა რაიმე თვალსაჩინო მიზეზის მიუხედავად, ხშირად იცის ცხვირიდან სისხლის დენა, ის ექიმმა უნდა ნახოს, ვინაიდან არსებობს ისეთი დაავადებანი, რომლებიც ზოგჯერ ცხვირიდან სისხლდენას იწვევს. მაგრამ თუ ბავშვი ჯანმრთელია და არაფერი სტკივა, ექიმი მოუწვავს მას იმ სისხლძარღვს, რომელიც გამუდმებით სკდება. სისხლძარღვის გამოცნობა შეიძლება მხოლოდ სისხლის დენის შეჩერების უმალ.

## მკურნალი მცენარე

*აღმოსავლური ნაძვი* — ფიჭვისებრთა ოჯახს ეკუთვნის. 60 მეტრამდე სიმაღლის ხეა, დიამეტრში კი 2 მეტრამდე აღწევს. ხშირი დატოტვის გამო ვარჯი ძალიან კომპაქტურია და წვიმას თითქმის არ ატარებს. გავრცელებულია ძირითადად დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში. ძირითადად იზრდება 1.500-1.700 მეტრ სიმაღლეზე, ზოგან უფრო მაღლაც ქარისგან დაცულ ადგილებში.

ნაძვის ფისისაგან შესაძლოა კოლოფანის, სკიპდარის და ხის ძმარის დამზადება. ქერქი შეიცავს ტანინებს, რომელიც განსაკუთრებით ბევრია ზრდაში ჩამორჩენილ დაჩაგრული ხეების ქერქში. წიწვები 400 მგ პროცენტზე მეტ ა ვიტამინს შეიცავს და გამოიყენება ვიტამინოვანი კონცენტრატების მოსამზადებლად.

აგრეთვე სუროვანდის საწინააღმდეგო ნაყენებისათვის. აგრეთვე ნაძვის წიწვებს იყენებენ აბაზანებისათვის რევმატიზმის სამკურნალოდ.

ნაძვის წიწვებიდან მიიღება პრეპარატი პინაბინი, რომელიც ეთერზეთის 50% იანი ხსნარია ატმის ზეთზე. პინაბინი სპაზმოლიტურად მოქმედებს შარდგამომყოფი გზების მუსკულატურაზე, ზღუდავს ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერიების განვითარებას. იგი რეკომენდირებულია, როგორც შარდმდენი საშუალება თირკმელების კენჭოვანი დაავადების და თირკმლის ჭვალის დროს.

იღებენ 5-20 წვეთს შაქრით, დღეში სამჯერ, ჭამამდე 15-20 წუთით ადრე 4-5 კვირის განმავლობაში. პინაბინის მიღება დასაშვებია მხოლოდ ექიმის გამოწერით.

ნაძვის კვირტების ნაყენს ცდიან, როგორც საშუალება ანთებადი პროცესების სამკურნალოდ და სასუნთქი გზების სპეციფიკური დაავადებების (რინიტი, კატარი, ანგინა, ბრონქიალური ასთმა და სხვ.) წინააღმდეგ.

ხალხურ მედიცინაში ნაძვის ჩვილი ყლორტების არაყზე ნაყენს იყენებენ ტუბერკულოზის დროს.

❖ ❖ ❖

*ასკილი* — ვარდისებრთა ოჯახის ეს წარმომადგენელი 1 3 მ სიმაღლის ბუჩქია. გავრცელებულია მთელ საქართველოში. ტოტები კაუჭა ეკლებითაა აღჭურვილი, ყლორტები მწვანეკანიანია, ღერო — ნაცრისფერქერქიანი. ყვავის მაის ივნისში. აქვს თეთრი ან მოვარდისფრო სურნელოვანი ყვავილები. ნაყოფი მწიფდება აგვისტო სექტემბერში. ნაყოფი შეიცავს ვიტამინებს, ფლავონოლურ გლიკოზიდებს, შაქარს, პექტინს, ლიმონის, ვაშლისა და სხვა მჟავებს, კაროტინს, ლიკოპონს და რუბიქსანტინს. ფოთლები და ფესვები მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებითაც. ასკილის ნაყოფი გამოიყენება ავიტამინოზების, ჰემორაგიული დიათეზის, არტერიოსკლეროზის, ჭრილობების და ძვლების შეხორცების დასაჩქარებლად, ინფიცირებული ჭრილობებისა და საშვილოსნოდან სისხლდენისას. ნაყოფში შემავალი ვიტამინი გამოიყენება ჰიპოვიტამინოზის (ქათმის სიბრმავე, ქსეროფტალმია), აგრეთვე თირკმლების და ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების დროს. ასკილის ნაყოფის ექსტრაქტი გამოიყენება, როგორც ნაღვლის დენის გამაძლიერებელი საშუალება ქოლეცისტიტის და ჰეპატიტების დროს.

ასკილის ფოთლებსა და ფესვებს კუჭის დაავადებების დროს იყენებენ, მათ შორის, კუჭაშლილობის სამკურნალოდაც. ასკილის ნაყოფებს კუჭის, ნერვების, გულისა და თვალის, აგრეთვე სისხლის დაავადებების დროს იყენებენ. ფოთლების ჩაი კარგად მოქმედებს კუჭის მოტორულ ფუნქციაზე. მისი ფოთლების ნახარში ხალხში მიჩნეულია საუკეთესო საშუალებად ორგანიზმში ყოველგვარი ქვის დასაშლელად. ასკილის ნაყოფის რბილობისგან მიღებული პრეპარატები გამოიყენება კანის სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

❖ ❖ ❖

*ევკალიპტი* — სწრაფმზარდი მარადმწვანე 50 70 (100) მ სიმაღლის ხეა მძლავრი ფესვთა სისტემითა და მკვრივი მერქნით. ღეროსა და ტოტების ქერქი მოთეთრო რუხია (ნაცრისფერი), რომელიც გრძელ ფილებად სძვრება ყოველწლიურად. ყლორტები ოთხწიბოიანია და ისე, როგორც ფოთლები, ნაცრისფერი ნაფიფქითაა დაფარული. მისთვის დამახასიათებელია ნაირფოთლიანობა. ბუნებრივად გავრცელებულია ავსტრალიასა და კუნძულ ტასმანიაზე. კულტივირებულია შავი ზღვის სანაპირო ზოლში, უმთავრესად აჭარასა და აფხაზეთში. ლურჯი, ანუ სფერული ევკალიპტი, სხვა სახეობის ევკალიპტებთან შედარებით, რამდენადმე უფრო ყინვაგამძლეა.

ევკალიპტის ზეთი და ფოთლების ნაყენი ანტისეპტიკური თვისებების გამო ფართოდ გამოიყენება, როგორც საინჰალაციო საშუალება სასუნთქი გზების დაავადების, ლარინგიტის, ტრაქეიტის, კატარალური და ჩირქოვანი ბრონქიტის, აბსცესისა და ფილტვის განგრენის დროს, აგრეთვე ინფიცირებული ჭრილობების, კანზე გამონაყარისა და წყლულების მოსაბანად. ნაყენი კუჭ ნაწლავის მწვავე დაავადებების დროს გამოიყენება, მასვე ხმარობენ კანის ზოგიერთი ჩირქოვანი დაავადების სამკურნალოდ. დიდი გამოყენება აქვს ევკალიპტის ზეთს სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

ევკალიპტის ფოთლები ცხელი ნაყენის სახით გამოიყენება (5 გრამი ფოთოლი ერთ ჭიქა წყალზე) ბრონქიტისა და ბრონქიალური ასთმის დროს. ამავე დაავადებების დროს უფრო ეფექტურად მოქმედებს ევკალიპტის ეთერზეთი ინჰალაციის წესით გამოყენებისას. მზესუმზირას ზეთში გახსნილი ეთერზეთი კარგი საშუალებაა ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთებისას (ზეთს ისხამენ ცხვირის ნესტოებში გრიპისა და რესპირატორული დაავადების დროს); ევკალიპტის ეთერზეთი, სხვა ეთერზეთებთან ერთად (ქაფურის, ქაფურის სპირტთან და სხვ.), ეფექტურად მოქმედებს გაციებით გამოწვეული დაავადებების და რევმატიზმის წინააღმდეგ, იზელენ მტკივნეულ ადგილს.

## სასარგებლოთა იღბლით

### შემწვარი ხორცი კალორიული რომ არ იყოს



თუ გსურთ, კერძი ნაკლებად კალორიული იყოს, მოამზადეთ განსხვავებულად. მაგალითად, ხორცის შესაწვავად გამოიყენეთ მინერალური წყალი. ტაფაში, რომლის ფსკერიც არ იკრავს, დაასხით გაზიანი მინერალური წყალი, დადგით ნელ ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე. როგორც კი წყალი დუღილამდე მივა, მასში მოათავსეთ ხორცი. გაზი სწრაფადაც შეწვავს მას და საკმაოდ გემრიელადაც. კალორიულობა კი თითქმის არც ექნება. თუ ძროხის ხორცი ცოტათი მაგარია, მოშუშვისას ნახევარი ჭიქა ლუდი დაასხით — ხორცი სწრაფად მომზადდება და გემოც უკეთესი ექნება.

სალათისათვის განკუთვნილი ოხრახუში ცხელი წყლით გარეცხეთ და სალათა უფრო არომატული იქნება.

### გახდომა გსურთ?

თუ გსურთ წონაში დაიკლოთ, რაც ძალიან ბევრი ქალის ოცნებაა, უნდა გახსოვდეთ, რომ წონაში მომატებას ხელს უწყობს არამარტო ცხიმები, არამედ ორგანიზმში სითხის დაგროვება. ამიტომ საჭიროა, ყოველდღიურ რაციონში ჩართოთ სითხის გამომდევნი პროდუქტები.

ეს თვისება ახასიათებს ხილსა და ბოსტნეულს. გარდა ამისა, არარეკომენდებულია იშვიათად და უცბად ბევრი ჭამა. საკვები უნდა დაჰყოთ პატარ პატარა ულუფებად და მიიღოთ 5 6 ჯერ დღეში. საუზმეზე აუცილებელია მიიღოთ ფინჯანი მწვანე ჩაი, რომელიც ხელს უწყობს საჭმლის მონელებას. გირჩევთ, დროდადრო მოაწყოთ განტვირთვის დღე. დღის განმავლობაში მიიღეთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე ერთი პროდუქტი: ვაშლი ან ყურძენი, კეფირი ან წვენი... ერთი და იმავე პროდუქტს ადვილად ითვისებს ორგანიზმი, ამ დროს ის ისვენებს და თქვენ იშორებთ ბალასტს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეომიელიტის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზირებული სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და არაოპერაციულ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარია.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# უქმეები საინტერესო მატჩებით დაიხუნძლა

ყველა წამყვან ევროპულ ქვეყანაში დაიწყო ეროვნული ჩემპიონატები. ამ უქმეებზე ესპანეთში ტურის ცენტრალური შეხვედრა „სანჩეს პისხუანზე“ გაიმართება — თბილისური უეფას სუპერთასის მონაწილე „სევილია“ მადრიდის „ატლეტიკოს“ მასპინძლობს. იტალიაში ყველაზე საინტერესო მატჩია — „რომა“ შინ დაუხვდება „იუვენტუსს“. ასევე საინტერესო იქნება გერმანიაში „ბაიერნისა“ და „ლევერკუზენის“ ჯახი, ხოლო საფრანგეთში „მონაკოსა“ და პსჟ-ს დაპირისპირება.



## ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 29.08 ნიუკასლი-არსენალი | 6.0 | 4.33 | 1.5 |
| 29.08 სიტი-უოტფორდი | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 29.08 ბორნმუთი-ლესტერი | 2.15 | 3.4 | 3.3 |
| 29.08 ლივერპული-ვესტ ჰემი | 1.33 | 5.0 | 9.0 |
| 29.08 ჩელსი-კრ.პალასი | 1.33 | 5.0 | 9.0 |
| 29.08 ასტონ ვილა-სანდერლენდი | 1.83 | 3.4 | 4.5 |
| 29.08 სტოკი-ვესტ ბრომვიჩი | 1.95 | 3.25 | 4.2 |
| 29.08 ტოტენჰემი-ევერტო ნი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 30.08 საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 1.91 | 3.4 | 4.0 |
| 30.08 სუონსი-მანჩესტერი | 3.2 | 3.2 | 2.25 |

### ნიუკასლი-არსენალი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-სილვიან მარვო, ემანუელ რივიერა

არსენალი: ***ტრავმ***-ლორენ კოსიელნი, ჯეკ უილშირი, ტომაშ როსიცკი, დენი უელბეკი

### სიტი-უოტფორდი

სიტი: ***ტრავმ***-პაბლო ზაბალეტა

უოტფორდი: ***ტრავმ***-ჯოელ ეკსტრანდი

### ბორნმუთი-ლესტერი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-არავინ

ლესტერი: ***ტრავმ***-მეტიუ ჯეიმსი

### ლივერპული-ვესტ ჰემი

ლივერპული: ***ტრავმ***-ადამ ლალანა, ჯორდან ჰენდერსონი, ჯონ ფლანაგანი, დანიელ სტარიჯი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-მაურო ზარატე, ენერ ვალენსია, ენდი კეროლი; ***დისკვ***-კარლ ჯენკინსონი, ადრიანი

### ჩელსი-კრ.პალასი

ჩელსი: ***ტრავმ***-ვიქტორ მოსესი; ***დისკვ***-ტერი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-კონორ უიკმანი, მარუან შამახი, ფრეიზერ კემბელი

### ასტონ ვილა-სანდერლენდი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ხოსე ანგელ კრესპო, იორის ოკორე

სანდერლენდი: ***ტრავმ***-იუნის კაბული, ადამ ჯონსონი

### სტოკი-ვესტ ბრომვიჩი

სტოკი: ***ტრავმ***-არავინ

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ბენ ფოსტერი

### ტოტენჰემი-ევერტონი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-არავინ

ევერტონი: ***ტრავმ***-ბრენდან გალოვეი, სტივენ პიენაარი, ტონი ჰიბერტი, დარონ გიბსონი

### საუთჰემპტონი-ნორვიჩი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-სადიო მანე, გასტონ რამირესი

ნორვიჩი: ***ტრავმ***-მარტინ ოლსონი, იუსუფ მულუმბუ

### სუონსი-მანჩესტერი

სუონსი: ***ტრავმ***-არავინ

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ფილ ჯონსი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| 2.ლესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| 3.მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 4.ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 5.კრ.პალასი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 6.სუონსი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 7.ევერტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 8.ნორვიჩი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 9.არსენალი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 10.ჩელსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-7 | 4 |
| 11.ვესტ ჰემი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-6 | 3 |
| 12.უოტფორდი | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 13.ბორნმუთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 14.ასტონ ვილა | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 15.სტოკი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| 16.ტოტენჰემი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| 17.ნიუკასლი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| 18.საუთჰემპტონი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-5 | 2 |
| 19.სანდერლენდი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |

## ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 29.08 სოსიედადი-ხიხონი | 1.85 | 3.4 | 4.4 |
| 29.08 ბარსელონა-მალაგა | 1.14 | 7.5 | 19.0 |
| 29.08 სელტა-რაიო | 1.554.0 | 6.0 | |
| 29.08 რეალი-ბეტისი | 1.1 | 9.0 | 21.0 |
| 30.08 ეიბარი-ბილბაო | 4.0 | 3.0 | 2.1 |
| 30.08 ვალენსია-დეპორტივო | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 30.08 სევილია-ატლეტიკო | 2.8 | 3.1 | 2.62 |
| 30.08 ლას პალმასი-ლევანტე | 1.91 | 3.2 | 4.5 |
| 30.08 ხეტაფე-გრანადა | 2.05 | 3.1 | 4.0 |

### სოსიედადი-ხიხონი

სოსიედადი: ***ტრავმ***-რაულ ნავასი, კარლოს მარტინესი

ხიხონი: ***ტრავმ***-არავინ

### ბარსელონა-მალაგა

ბარსელონა: ***ტრავმ***-დანი ალვეში; ***დისკვ***-ხერარდ პიკე

მალაგა: ***ტრავმ***-ფლავიო ფერეირა, იგნასიო კამაჩო

### სელტა-რაიო

სელტა: ***ტრავმ***-რუბენ ბლანკო

რაიო: ***ტრავმ***-ადრი ემბარბა

### რეალი-ბეტისი

რეალი: ***ტრავმ***-არავინ

ბეტისი: ***ტრავმ***-რაფაელ ვან დერ ვაარტი

### ეიბარი-ბილბაო

ეიბარი: ***ტრავმ***-ლილო, ანდერ გაიოსო

ბილბაო: ***ტრავმ***-მიკელ ბალენზიაგა, იკერ მუნიანი

### ვალენსია-დეპორტივო

ვალენსია: ***ტრავმ***-ანდრე გომესი, დიეგო ალვეში

დეპორტივო: ***ტრავმ***-ორიოლ რიერა, მანუელ პაბლო

### სევილია-ატლეტიკო

სევილია: ***ტრავმ***-ნიკოლას პარეხა; ***დისკვ***-სტივენ ნზონზი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-არავინ

### ლას პალმასი-ლევანტე

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ხავი კასტელანო, ანგელ ლოპესი

ლევანტე: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-სიმაო

### ხეტაფე-გრანადა

ხეტაფე: ***ტრავმ***-ქარიმ იოდა; ***დისკვ***-სანტიაგო ვერინი, რობერტო ლაგო

გრანადა: ***ტრავმ***-ფრან რიკო; ***დისკვ***-სალვა რუიზი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ეიბარი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 2.სელტა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 3.ატლეტიკო | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 4.ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 5.ესპანიოლი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 6.ბეტისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 7.ვილიარეალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 8.დეპორტივო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 9.მალაგა | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 10.რაიო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 11.რეალი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 12.სოსიედადი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 13.სევილია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 14.ხიხონი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 15.ვალენსია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 16.ლევანტე | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 17.ბილბაო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 18.ხეტაფე | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 19.ლას პალმასი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 20.გრანადა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |

## გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 29.08 მაინცი-ჰანოვერი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 29.08 კიოლნი-ჰამბურგი | 1.8 | 3.75 | 4.2 |
| 29.08 დარმშტადი-ჰოფენჰაიმი | 2.8 | 3.4 | 2.4 |
| 29.08 აუგსბურგი-ინგოლშტადი | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 29.08 შტუტგარტი-აინტრახტი | 1.91 | 3.8 | 3.6 |
| 29.08 ბაიერნი-ლევერკუზენი | 1.28 | 5.0 | 11.0 |
| 30.08 დორტმუნდი-ჰერტა | 1.22 | 6.0 | 13.0 |
| 30.08 ვერდერი-გლადბახი | 3.25 | 3.5 | 2.15 |

### მაინცი-ჰანოვერი

მაინცი: ***ტრავმ***-მაქს ბიესტერი, ელკინ სოტო

ჰანოვერი: ***ტრავმ***-სებასტიან ერნსტი, ჰიროში ტიოკატე

### კიოლნი-ჰამბურგი

კიოლნი: ***ტრავმ***-იუია ოსაკო, დომინიკ მარო

ჰამბურგი: ***ტრავმ***-იოან ჯურუ, ნიკოლაი მიულერი

### დარმშტადი-ჰოფენჰაიმი

დარმშტადი: ***ტრავმ***-იან გინგერი, ალი კაზიმი, ნიკ ვილკი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-კაი ჰერდლინგი

### აუგსბურგი-ინგოლშტადი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-დანიელ ოპარე, შოუ პარკერი, იან მორავეკი, პიოტრ ტროხოვსკი

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-კონსტანტინ ენგელი

### შტუტგარტი-აინტრახტი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-მიტჩ ლაგერბაკი, ვედად იბიშევიჩი; ***დისკვ***-ფლორიან კლეინი

აინტრახტი: ***ტრავმ***-ანდერსონ ბამბა, სონი კიტელი

### ბაიერნი-ლევერკუზენი

ბაიერნი: ***ტრავმ***-მეჰდი ბენატია, ფრანკ რიბერი, ჰოლგერ ბადშტურბერი, იან კირჰოფი, ხავი მარტინესი; ***დისკვ***-ჟერომ ბოატენგი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-სონ ჰოუნგ მინი, ჩარლზ არანგისი, ტიმ იედვაი, ომერ ტოპრაკი

### დორტმუნდი-ჰერტა

დორტმუნდი: ***ტრავმ***-იაკუბ ბლაშიკოვსკი, კევინ გროსკროიცი, ნური შაჰინი

ჰერტა: ***ტრავმ***-იენს ჰეგელერი, ანის ბენ ჰატირა

### ვერდერი-გლადბახი

ვერდერი: ***ტრავმ***-ფინ ბარტელსი, მატეო პავლოვიჩი, ლუდოვიკ ობრანიაკი

გლადბახი: ***ტრავმ***-ფაბიან ჯონსონი, ალვარო დომინგესი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 2.ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 3.ლევერკუზენი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 4.შალკე | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 5.კიოლნი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 6.ვოლფსბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.ჰერტა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 8.მაინცი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9.ინგოლშტადტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-4 | 3 |
| 10.ჰამბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-7 | 3 |
| 11.დარმშტადტი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 12.აინტრახტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 13.ჰანოვერი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 14.აუგსბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 15.ვერდერი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 17.შტუტგარტი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-6 | 0 |
| 18.გლადბახი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

## იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 29.08 ბოლონია-სასუოლო | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 29.08 მილანი-ემპოლი | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 30.08 რომა-იუვენტუსი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 30.08 კიევო-ლაციო | 3.4 | 3.2 | 2.2 |
| 30.08 ატალანტა-ფროსინონე | 1.73 | 3.5 | 5.0 |
| 30.08 კარპი-ინტერი | 4.75 | 3.6 | 1.75 |
| 30.08 ტორინო-ფიორენტინა | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 30.08 ჯენოა-ვერონა | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 30.08 ნაპოლი-სამპდორია | 1.44 | 4.4 | 7.0 |
| 30.08 უდინეზე-პალერმო | 2.1 | 3.25 | 3.6 |

### ბოლონია-სასუოლო

ბოლონია: ***ტრავმ***-მატეო ბრიგი, დანიელე კასტადელო

სასუოლო: ***ტრავმ***-დომენიკო ბერარდი

### მილანი-ემპოლი

მილანი: ***ტრავმ***-ჯერემი მენეზი, მბიაე ნიანგი; ***დისკვ***-როდრიგო ელი

ემპოლი: ***ტრავმ***-კასტრიოტ დერმარკუ, ვინსენტ ლორინი

### რომა-იუვენტუსი

რომა: ***ტრავმ***-კევინ სტროოტმანი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-სამი ხედირა, კლაუდიო მარკიზიო, კვადვო ასამოა

### კიევო-ლაციო

კიევო: ***ტრავმ***-ივან რადოვანოვიჩი

ლაციო: ***ტრავმ***-ლუკას ბილია, მიროსლავ კლოზე, ფედერიკო მარკეტი, ფილიპ ჯორჯევიჩი

### ატალანტა-ფროსინონე

ატალანტა: ***ტრავმ***-გერმან დენისი, ლუკა გიგარინი; ***დისკვ***-კარლოს კარმონა

ფროსინონე: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-დანიელე ალტობელი

### კარპი-ინტერი

კარპი: ***ტრავმ***-ლორენცო ლოლო

ინტერი: ***ტრავმ***-მარსელო ბროზოვიჩი, მაური იკარდი, დოდო, ნემანია ვიდიჩი

### ტორინო-ფიორენტინა

ტორინო: ***ტრავმ***-არავინ

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მარკო ბაკიჩი

### ჯენოა-ვერონა

ჯენოა: ***ტრავმ***-დიეგო პეროტი, ეზეკიელ მუნიოსი

ვერონა: ***ტრავმ***-არავინ

### ნაპოლი-სამპდორია

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

სამპდორია: ***ტრავმ***-ანტონიო კასანო, ხოაკინ კორეა, ნენად კრსტიჩიჩი

### უდინეზე-პალერმო

უდინეზე: ***ტრავმ***-არავინ

პალერმო: ***ტრავმ***-არავინ

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სამპდორია | 1 | 1 | 0 | 0 | 5-2 | 3 |
| 2.კიევო | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 3.ფიორენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 4.ლაციო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 5.სასუოლო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 6.ტორინო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 7.ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8.პალერმო | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 9.უდინეზე | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 10.ვერონა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 11.რომა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 12.ბოლონია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 13.ფროსინონე | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 14.ნაპოლი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 15.ატალანტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 16.ჯენოა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 17.იუვენტუსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 18.ემპოლი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 19.მილანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 20.კარპი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-5 | 0 |

## საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 29.08 კაენი-ლიონი | 3.2 | 3.3 | 2.25 |
| 29.08 ლილი-გაზელეკი | 1.44 | 3.8 | 9.0 |
| 29.08 რენი-ტულუზა | 2.2 | 3.1 | 3.6 |
| 29.08 რეიმსი-ლორიანი | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 29.08 ანჟე-ნიცა | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 29.08 ტრუა-მონპელიე | 2.45 | 3.0 | 3.1 |
| 30.08 სტ.ეტიენი-ბასტია | 1.67 | 3.4 | 6.0 |
| 30.08 ბორდო-ნანტი | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 30.08 მონაკო-პსჟ | 4.2 | 3.1 | 2.0 |

### კაენი-ლიონი

კაენი: ***ტრავმ***-ალადინ იაია, ჯორდან ნკოლოლო, ემანუელ იმორო

ლიონი: ***ტრავმ***-მილან ბიშევაჩი, კრისტოფ ჟალე

### ლილი-გაზელეკი

ლილი: ***ტრავმ***-იბრაჰიმ ამადუ, ფრანკ ბერია

გაზელეკი: ***ტრავმ***-ალასან ტურე, ჟერემი ბრეჩე, აბდუ კადერ მანგანე

### რენი-ტულუზა

რენი: ***ტრავმ***-ვესლი საიდი, აბდულაიე დაკური

ტულუზა: ***ტრავმ***-მარსელ ტისერანდი

### რეიმსი-ლორიანი

რეიმსი: ***ტრავმ***-დიეგო, ანტუან კონტე

ლორიანი: ***ტრავმ***-მაჯედ ვორისი, ვალენტინ ლავინე

### ანჟე-ნიცა

ანჟე: ***ტრავმ***-არავინ

ნიცა: ***ტრავმ***-მაჰამანე ტრაორე, მეტიუ ბოდმერი, სიმონ პუპლინი

### ტრუა-მონპელიე

ტრუა: ***ტრავმ***-მამადუ ნდიაე, რინკონი

მონპელიე: ***ტრავმ***-ჟოფრეი ჟარდენი

### სტ.ეტიენი-ბასტია

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ჟან კრისტოფ ბაებეკი, ბენუა ასოუ-ეკოტო, ლოიკ პერინი

ბასტია: ***ტრავმ***-ლუის ლეკა

### ბორდო-ნანტი

ბორდო: ***ტრავმ***-ჩეიკ დიაბატე, დიეგო კონტენტო, სედრიკ კარასო, გრეგორი სერტიჩი, ლუდოვიკ სანე

ნანტი: ***ტრავმ***-ემილიანო სალა

### მონაკო-პსჟ

მონაკო: ***ტრავმ***-ჟოაუ მოუტინიუ

პსჟ: ***ტრავმ***-მარკო ვერატი, გრეგორი ვან დერ ვილი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ანხელ დი მარია

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 3 | 3 | 0 | 0 | 4-0 | 9 |
| 2.ბასტია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 3.ანჟე | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 4.ნანტი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 5.რენი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 6.კაენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 7.რეიმსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 8.მონაკო | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 9.ნიცა | 3 | 1 | 1 | 1 | 6-6 | 4 |
| 10.ტულუზა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 11.სენტ ეტიენი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 12.ლიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 13.მარსელი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-2 | 3 |
| 14.ბორდო | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 15.ლორიანი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 16.ლილი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-1 | 2 |
| 17.ტრუა | 3 | 0 | 2 | 1 | 3-9 | 2 |
| 18.გაზელეკი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |
| 19.მონპელიე | 3 | 0 | 0 | 3 | 0-4 | 0 |
| 20.გენგამი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-5 | 0 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


## განცხადებები

### მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს„იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# იყრის თუ არა ბაიდენი კენჭს აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე?



2016 წელს აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ნელ-ნელა იკვეთებიან ისინი, ვინც პრეზიდენტობაზე კენჭს იყრის. რესპუბლიკურ პარტიაში ჯერჯერობით ექსცენტრული მილიონერი ტრამპი ლიდერობს, დემოკრატებს შორის კი ორი პრეტენდენტი გამოიკვეთა: ჰილარი კლინტონი და ამჟამინდელი ვიცეპრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი.

— მალე გაირკვევა, ვინ იქნება დემოკრატების კანდიდატი, ბაიდენი თუ კლინტონი, — იტყობინება „ამერიკის ხმა“.

## გამოცდილი, მაგრამ კურიოზული პოლიტიკოსი

ჯოზეფ ბაიდენი გამოცდილი პოლიტიკოსია. ამავე დროს, მას არაერთი კურიოზი შეემთხვა. ყველას ახსოვს ბაიდენის სიტყვები, თქმული ობამას მისამართით:

— ჩვენი პრეზიდენტი განათლებული, ჭკვიანი აფროამერიკელია. ის მომხიბვლელი ადამიანია ანუ განსახიერებაა იმისა, რომ აფროამერიკელიც კი შესაძლებელია, სრულფასოვან და წარმატებულ ადამიანად იქცეს.

ასეთი სიტყვები ბევრმა რასიზმის გამოვლინებად აღიქვა. ბაიდენის მიმართ ბრალდებები სეტყვასავით წამოვიდა. ბოლოს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ბაიდენმა ობამას სახალხოდ ბოდიში მოუხადა, თავად ობამამ კი განაცხადა, რომ მისი გამოსვლა ხუმრობა იყო, თუმცა მალე ბაიდენმა კიდევ ერთი შოკისმომგვრელი განცხადება გააკეთა:

— ჩვენში ღვეზელის გამყიდველს ვერ იპოვით, ინდიელის სისხლი რომ არ ერიოს!

მალე ბაიდენი კვლავ სკანდალში გაეხვია. ობამას მოხსენებისას მას ჩაეძინა. მოხსენება აშშ-ის ბიუჯეტის შევსებას შეეხებოდა. შეკითხვაზე, რატომ ჩაგეძინათო, ბაიდენმა მიუგო:

— ფინანსები და ბიუჯეტი მოსაწყენი თემაა.

საყოველთაო შოკი გამოიწვია ბაიდენის სიტყვებმა, როდესაც მან უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდებას დაუჭირა მხარი. კორესპონდენტმა ჰკითხა, კი მაგრამ, არ აცნობიერებთ, ამას რა შედეგები შეიძლება მოჰყვესო? ბაიდენმა მიუგო:

— შედეგი ის იქნება, რომ დონბასში ომი შეწყდება და მშვიდობა აღდგება. პუტინი ხომ ანგარიშს მხოლოდ ძალას უწევს!

ასეთ გამოსვლას ბადენისაგან არავინ მოელოდა, თუმცა მალე უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდებას ყველამ მხარი დაუჭირა. ეს თანაბრად ეხება როგორც რესპუბლიკელებს, ისე დემოკრატებსაც. გამონაკლისს მხოლოდ პრეზიდენტი ობამა წარმოადგენდა. ის უკრაინის აღჭურვისაგან კვლავინდებურად თავს იკავებს.

## კათოლიკე, პატრიოტი და კონსერვატორი

ჯოზეფ ბაიდენი წარმოშობით ირლანდიელი, რწმენით კი კათოლიკეა. ის 1942 წელს დაიბადა, დაამთავრა წმინდა ელენეს სახელობის კათოლიკური სკოლა, რომელმაც მისი მსოფლმხედველობაც განსაზღვრა.

— ბაიდენი კონსერვატორი და პატრიოტია. ისეთი ცნებები, როგორიცაა ღმერთი, სამშობლო, ეკლესია, ოჯახი მისთვის წმიდათაწმიდაა, — იტყობინება მე-5 არხი.

ამრიგად, ბაიდენის მსოფლმხედველობა უფრო ქრისტიან დემოკრატებთან არის ახლოს. ამავე დროს, აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი უაღრესად განათლებული ადამიანია. მას ორი უმაღლესი აქვს დამთავრებული, დელავარის უნივერსიტეტში ისტორიასა და პოლიტოლოგიას დაეუფლა, სარაკუზის უნივერსიტეტში (ნიუ იორკის შტატი) კი — იურისპრუდენციას. სწორედ აქ დაიცვა მან ხარისხი და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გახდა. განათლებამ და ერუდიციამ ბაიდენის წარმატებული პოლიტიკური კარიერა განსაზღვრა. 30 წლის სენატორი გახდა. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. 1974 წელს ჟურნალმა „ტაიმსმა“ ბაიდენი იმ 200 ამერიკელი პოლიტიკოსის რიცხვში შეიყვანა, რომლებიც ახლო მომავალში მსოფლიო ისტორიაზე გავლენას მოახდენენ. წლების მანძილზე ბაიდენს საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა — იყო სენატის, სასამართლოს, შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე. ამჟამად ვიცეპრეზიდენტია. როგორც პოლიტიკოსი, საოცარი ალღოთი გამოირჩეოდა. როცა 1990-91 წლებში სსრკ-ში ნგრევის პროცესი დაიწყო, ბაიდენი პირველი იყო, ვინც განაცხადა:

— საბჭოთა კავშირი დაინგრევა, მის ნანგრევებზე დამოუკიდებელი სახელმწიფოები წარმოიქმნებიან! დროა, უფრო აქტიურად დავეხმაროთ უკრაინას, ბალტიის ქვეყნებს, საქართველოს, რათა პოსტსაბჭოთა სივრცეში იუგოსლავიის ტიპის მოვლენები არ განვითარდეს!

## მან ბევრი გადაიტანა

ბაიდენს ჩვენი დროის ყველაზე სამართლიან, უძლიერესსა და უმდიდრეს ქვეყანაში, აშშ-ში მოუწია მოღვაწეობა, სადაც ადამიანს სრული შესაძლებლობა ეძლევა, თავისი ნიჭი გამოავლინოს. მიუხედავად ამისა, ძნელად მოიძებნება პოლიტიკოსი, რომელსაც იმდენი ჭირ-ვარამი გადახდა, რამდენიც ბაიდენს. რად ღირს თუნდაც ის, რომ 1972 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ მისი პირველი ცოლი ნეია და ქალიშვილი ნაომი. ვაჟები ბო და ჰანტერი, რომლებიც ასევე მანქანაში ისხდნენ, მძიმედ დაშავდნენ, მაგრამ გადარჩნენ.

— ამის შემდეგ ვაჟებზე ზრუნვა ჩემი ცხოვრების უმთავრესი მიზანი გახდა, — ამბობს თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ბაიდენი.

1988 წელს ბაიდენს ანევრიზმა აღმოაჩნდა. ექიმებმა პირდაპირ განუცხადეს, თუკი ოპერაციას გაიკეთებთ, გადარჩენის შანსი ათი პროცენტია. გადარჩებით, მაგრამ აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ვეღარ დაუბრუნდებითო.

— რამდენი პროცენტია შანსი იმისა, რომ აქტიურ პოლიტიკას დავუბრუნდე? — იკითხა ბაიდენმა.

— ერთი პროცენტი, — მიუგო ექიმმა.

ბაიდენმა ოპერაცია გაიკეთა და გადარჩა. შემდეგ იყო ხანგრძლივი მკურნალობა. ბაიდენმა მიაღწია იმას, რომ სრულიად განიკურნა და დიდ პოლიტიკაში დაბრუნდა.

იყრის თუ არა კენჭს ბაიდენი?

უკანასკნელ წლებში დემოკრატების აღიარებულ ლიდერად კარგა ხანია ჰილარი კლინტონი ითვლებოდა. ცნობამ იმის თაობაზე, რომ შესაძლოა კენჭი ბაიდენმაც იყაროს, დემოკრატების რიგებში ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია. ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ თუკი ბაიდენი მართლა გადაწყვეტს კენჭისყრას, ამით დემოკრატიულ პარტიას დაასუსტებს.

— ჰილარი კლინტონი ამომრჩევლის თვალში იმ ფასეულობებთან ასოცირდება, რომლებსაც დემოკრატები ქადაგებენ. დემოკრატების ელექტორატიც ჰილარის გარშემოა დარაზმული. თუკი საპრეზიდენტო არჩევნებში ისეთი მძიმე წონის პოლიტიკოსი გამოჩნდება, როგორიც ბაიდენია, ეს მხოლოდ ელექტორატის დაქსაქსვას გამოიწვევს. დემოკრატიული პარტიაც დასუსტდება, — ამტკიცებს პოლიტოლოგი კლარკი.

სხვები თვლიან, რომ ჰილარიმ, როგორც პოლიტიკოსმა, საკუთარი თავი ამოწურა. აშშ-ში ამ ქალბატონის მიმართ მართლაც არაერთგვაროვანი განწყობილებებია. ამომრჩეველთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ჯერ კიდევ პირველ ლედის როლში ყოფნისას ჰილარი თავის თავზე მეტისმეტად ბევრს იღებდა. მისის კლინტონის უკანასკნელ ხანს გამომზეურებულმა მიმოწერამ კი მის რეპუტაციას ძლიერი დარტყმა მიაყენა.

— როცა პოლიტიკოსს ასეთი მარცხი შეემთხვევა, ის უნდა წავიდეს, — ამტკიცებს პოლიტოლოგი არმსტრონგი.

თავად ბაიდენს ჯერ არ განუცხადებია, იყრის თუ არა კენჭს პრეზიდენტის პოსტზე. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს ოქტომბრის ბოლოს მოხდება. თავად ბაიდენი ამის გაკეთებას არ ჩქარობს. „ამერიკის ხმის“ ცნობით, მას უკვე ჰქონდა შეხვედრა პრეზიდენტ ობამასთან. ამ საუბრის შედეგები უცნობია. სამაგიეროდ, უკვე ყველა ლაპარაკობს იმაზე, რომ ბაიდენს გააჩნია პრობლემები სპონსორებთან, რომლებმაც მისი საპრეზიდენტო კამპანია უნდა დააფინანსონ. ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ბაიდენი და მაშინ უკვე შეგვეძლება ვთქვათ, თუ ძალების რა განლაგებაა ამერიკულ პოლიტიკურ ელიტაში.

# მიხეილ ხოდორკოვსკი: პუტინს ნუ დაემორჩილებით!“



რუსმა ოლიგარქმა და პრეზიდენტ პუტინის მოწინააღმდეგე მიხეილ ხოდორკოვსკიმ განაცხადა, რომ რუსეთი პოლიციური სახელმწიფო გახდა და სტალინიზმის ავბედით წლებს უბრუნდება. ამას მოწმობს არა მხოლოდ სენცოვისა და კოლჩენკოს სასამართლო, არამედ ის კანონებიც, რომლებიც რუსეთის დუმამ უკანასკნელ თვეებში მიიღო.

— ეს კანონები არანაირ სამართლებრივ ნორმაში არ ჯდება, ამიტომ მოვუწოდებ თანამოქალაქეებს, რათა მათ არ დაემორჩილონ, — თქვა ხოდორკოვსკიმ.

# ისრაელი შეშფოთებულია

ისრაელი რუსეთ-ეგვიპტის დაახლოებით შეშფოთებულია. როგორც ცნობილია, ეგვიპტის პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტისას განხილულ იქნა ეგვიპტისათვის თანამედროვე იარაღის მიწოდებისა და ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის საკითხი.

— თუკი რუსეთი ეგვიპტეს თანამედროვე იარაღს მიაწვდის, ამით რეგიონში არსებული ისედაც მყიფე მშვიდობა დაირღვევა, — ნათქვამია ბი-ბი-სი-ს კომენტარში.

# დონბასელი სეპარატისტები რუსული არმიის დამატებითი ნაწილების შემოყვანას მოითხოვენ



დონბასში ბრძოლები არ ცხრება. გასული დღე-ღამის განმავლობაში სეპარატისტები და რუსი ჯარისკაცები უკრაინელთა პოზიციების „გრადებით“ ბომბარდირებას განაგრძობდნენ. მტრის განსაკუთრებული აქტიურობა მარიუპოლის მახლობლად დაფიქსირდა. სტაროიგნატოვკასთან, ნოვოგრიგოროვკასთან, პროხოროვკასთან ცხარე ბრძოლები გაიმართა.

— უკრაინულმა არმიამ სერიოზული დანაკარგები განიცადა. დაღუპულია შვიდი მეომარი, დაიჭრა ათი, — იტყობინება უკრაინის ანტიტერორისტული ოპერაციების მთავარი შტაბი.

რუსების დანაკარგი ორჯერ მეტია. ბრძოლის შედეგად თხუთმეტი რუსი ჯარისკაცია მოკლული, ოცდაათი — დაჭრილი. მტერმაც უკან დაიხია. უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა ტურჩინოვმა თავის ინტერვიუში ხაზი გაუსვა იმას, რომ უკრაინელებს რუსეთის რეგულარული არმია უპირისპირდება, ოპერაციებს კი თავად სამხრეთის სამხედრო ოკრუგის სარდლის მოადგილე, გენერალი სერდიუკოვი ხელმძღვანელობს.

— მიუხედავად ამისა, რუსების ყველა მცდელობა, წინ წაწეულიყვნენ ან ინიციატივა აეღოთ, ამაო გამოდგა. მტერი დიდ ზარალს განიცდის, — თქვა ტურჩინოვმა.

დანაკარგმა რუსებს რევანშის სურვილი გაუმძაფრა. მოსკოვში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის ხმები, რომ აუცილებელია ავიაციის ჩართვა და კიევის, ლვოვის, ხარკოვისა თუ სხვა უკრაინული ქალაქების დაბომბვა. ტურჩინოვი აცხადებს, რომ უახლოეს დღეებში დონბასში რუსული არმიის ახალი ნაწილების შემოჭრა და ფართომასშტაბიანი შეტევაა მოსალოდნელი.

— თანახმად ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციისა, შეტევა სევეროდონეცკის მიმართულებით წარიმართება, — თქვა ტურჩინოვმა.

სეპარატისტულ საიტ „რუსსკაია ვესნას“ ცნობით, შემოდგომაზე დონბასში დანიშნულია რეფერენდუმი რუსეთთან შეერთების თაობაზე. ზუსტი თარიღი არ არის მითითებული. ნათქვამია მხოლოდ ის, რომ „დონეცკის რესპუბლიკის“ ლიდერმა ზახარჩენკომ მოსკოვს დახმარებისთვის მიმართა. ზახარჩენკო მოითხოვს, დონბასში რუსული რეგულარული არმიის დამატებითი ნაწილები შემოიყვანონ და მთელ რეგიონში რეფერენდუმის ჩატარება უზრუნველყონ. რუსული არმიის გარეშე ზახარჩენკოს სასურველი შედეგების მიღწევა მართლაც გაუჭირდება, რადგან, თანახმად უკანასკნელი მონაცემებისა, დონბასელთა 56 პროცენტი მხარს უკრაინის შემადგენლობაში დარჩენას უჭერს, რუსეთთან შეერთების მომხრე 10 პროცენტია, დანარჩენებისათვის კი რეგიონის სტატუსს მნიშვნელობა არა აქვს. მათთვის მთავარია, შეწყდეს ომი, დამყარდეს მშვიდობა, იყოს სამუშაო, ხელფასი და ა.შ. ამრიგად, დონბასის რეფერენდუმს მოიგებს ის, ვის ხელშიც ძალაუფლება იქნება. რუსული ოკუპაციის გარეშე კი სეპარატისტები ძალაუფლებას ვერ აიღებენ.

# უკრაინამ ვალების რესტრუქტურიზაციას მიაღწია



წარმატებით დასრულდა უკრაინის ფინანსთა მინისტრ ნატალია იარესკოსა და დასავლელ კრედიტორთა შორის მოლაპარაკებები. იარესკომ მიაღწია იმას, რომ უკრაინას ვალების 20 პროცენტი ჩამოაჭრეს, დანარჩენის გადახდა კი 2019 წლამდე გაიწელება.

— ესაა ისტორიული შეთანხმება! ქალბატონმა იარესკომ შეუძლებელი შეძლო, — ასეთია პრეზიდენტ პოროშენკოს კომენტარი.

უკრაინის მეორე კრედიტორი რუსეთი კატეგორიულად წინააღმდეგია, რათა ვალების რესტრუქტურიზაცია მოხდეს. ამის თაობაზე რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ანტონ სილუანოვმა საგანგებო განცხადება გააკეთა:

— უკრაინას ვალებს არავითარ შემთხვევაში არ ჩამოვაჭრით, — თქვა მან.

უკრაინის პარლამენტის დეპუტატისა და რადიკალური პარტიის ლიდერ ოლეგ ლიაშკოს აზრით, რუსეთს სურს, უკრაინის შიგნით არეულობა გამოიწვიოს. საამისოდ კრემლს ამ ზამთარში ენერგეტიკული კრიზისის შექმნა სურს. ლიაშკოს აზრით, რუსეთთან ლაპარაკი წყლის ნაყვაა:

— ეს რუსეთს მართებს ჩვენი და არა ჩვენ მათი! ეს რუსეთმა გააჩაღა ომი უკრაინის წინააღმდეგ, მოახდინა ყირიმის ანექსია, გაანადგურა დონბასი, მთელი ინფრასტრუქტურა! დროა, რუსები ჯანდაბის იქით გავისტუმროთ, მათი გავლენის აგენტებს კი თავი ვირის აბანოში ვუკრათ! — აცხადებს ლიაშკო.

დეპუტატი ამბობს, რომ მინსკის ხელშეკრულებები ქაღალდზე დარჩება, რადგანაც მოსკოვი მათ შესრულებას არ აპირებს. ამას გარკვეულწილად რუსეთის წარმომადგენლებიც ადასტურებენ. ანტონ სილუანოვმა, თავისი მხრივ, აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის დეკემბერში უკრაინას ვალების სრულად დაფარვას მოსთხოვენ:

— თუკი უკრაინა უარს გვეტყვის, საერთაშორისო სასამართლოს მივმართავთ, — აცხადებს სილუანოვი.

# ერაყში ორი გენერალი მოკლეს

ერაყში გრძელდება ბრძოლები სამთავრობო ძალებსა და ისლამისტებს შორის. პროვინცია ანბარის გათავისუფლებისას ორი ერაყელი გენერალი, მაჯარი და ხანზალი დაიღუპა.

— ისლამისტების თავდასხმა ანაზდად მოხდა. ერაყელ სამხედროთა შორის არის მსხვერპლი. ორივე გენერალი ამ დროს დაიღუპა, — იტყობინება ბი-ბი-სი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

მის: მეტრო „დიდუბე“, სამეიო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ., ოთ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38

## ორშაბათი 31 აგვისტო

08.00 ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" 09.00 "ეს საქართველოა" 09.30 "სადილის დრო" 10.00 ტ/სერ. **"მეცამეტე მოციქული"** 11.00 ტ/სერ. **"ჩემო ვეტრინე"** 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. **"ნიკიტა"** 13.30 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" 14.30 "საუკუნის პორტრეტები" 15.00, 20.40 ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** 16.40 "ეკონომეტრი" 17.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 17.30 მხ/ფ **"ჯონი ინგლიში"** 19.30 "სიტყვების თამაში" 21.40 მხ/ფ **"აპოლო 13"** (ტ.ჰენქსი) 23.45 მხ/ფ **"ჩემი ადგილი მზის ქვეშ"** 01.45 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი"

08.00 მხ/ფ "გულის მოგზაურობა" 09.30 დ/ფ "იორდანია – უდაბნოს სამეფო" 10.00, 14.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. **"ადვოკატები"** 11.00 ქართ მხ/ფ **"რატომ ჩემი სიყვარული"** 12.05 დ/ფ "დიდი ბრიტანეთი" 13.00 "აფხაზეთი 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ "პატარა მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე" 18.00 დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" 20.00 ""მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "გამოძიებული რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო" 23.30 მხ/ფ **"იცეკვე მასთან"**

07.30 სერ. **"მერლინი"** 08.30 სერ. **"კარმა"** 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. **"ბოშა ქალი"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30, ქრონიკა 11.20 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 13.00 სტუმრად იუმორინასთან 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 სერ. **"ჟუჟუნები"** 8 სერ. 23.30 შალვა რამიშვილის შოუ 00.30 მხ/ფ **"კრიმინალური სამყარო"** (რ. დე ნირო) 02.40 მხ/ფ **"დიდი ქორწილი"** (რ.უილიამსი) 04.15 ფარული კამერა 05.45 მხ/ფ **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (ტიტ.)

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 08.00 მხ/ფ. 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 სერ. **"განშორების სევდიანი ფერი"** 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 "კომედის კონცერტი" 23.30 სერ. **"გრიმი"** 00.00 სპორტ ტაიმი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

